საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭ-დური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

სამშაბათი, 26 მარტი. 2019 წ. №59 (8725) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გათვლა საარჩევნო რევოლუციაზე

3

ბილწთა ზავი

აკაკი ჩარგეიშვილი:

ანაკლიის პორტის მშენებლობა „საპენსიო ფონდში“ დაგროვილი საინვესტიციო ფულით დავაფინანსოთ!

ირაკლი მაკალათია:

ანაკლიის პორტი აქციებად გადავცეთ საქართველოს მოქალაქეებს

აწყობს თუ არა საქართველოს ჩინური ინვესტიცია?

ანაკლიის პორტში მაინც რა ინტერესი აქვს ჩინეთს

4

„ბირჩის“ ამორალური თაოსნობა, რომელიც ანგრევს ქვეყნის თავდაცვის სისტემას!

5

ყირიმში ჰიტლერის ცეცხლი პუტინისამ შეცვალა

8

იენს სტოლტენბერგი: მოგიწოდებთ, გამოიყენოთ ყველა შესაძლებლობა, გახდეთ ნატოს წევრი

მოგიწოდებთ, ყველა შესაძლებლობა გამოიყენოთ, რომ ნატოსს წევრი გახდეთ, — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მთავრობის ადმინისტრაციაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. როგორც სტოლტენბერგმა აღნიშნა, საქართველო ნატოსთვის განსაკუთრებული პარტნიორია.

„საქართველომ ძალიან დიდი წინსვლა განიცადა მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების კუთხით. გაძლიერდა პარლამენტის მიერ უსაფრთხოების სფეროს ზედამხედველობის როლი. ასევე სასამართლო სისტემის მიმართულებით გაძლიერდა რეფორმების განხორციელება. იმედი მაქვს, რომ ამ მიმართულებით ძალისხმევა კვლავ გაგრძელდება მომავალში და კიდევ უფრო ეფექტური დაცვის ინსტიტუციები იარსებებს ქვეყანაში. ასევე მივესალმები იმას, რომ თქვენ ვალდებულებად იკისრეთ, მთლიანი შიდა პროდუქტის 2% გამოიყოს თავდაცვის მიზნებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ თანხის 20 % წავა აპარატურაზე და მოდერნიზაციაზე. ეს გააძლიერებს თქვენს სამხედრო ძალებს და რეგიონული უსაფრთხოების პროგრამაში მონაწილეობას. მე მივესალმები ყველა ამ ინიციატივას და მოგიწოდებთ, გააგრძელოთ ამ მიმართულებით მუშაობა და ყველა შესაძლებლობა გამოიყენოთ იმისათვის, რომ ჩვენს ალიანსში ძალიან მკვეთრი როლი იქონიოთ და საბოლოო ჯამში გახდეთ ჩვენი წევრი“, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

მამუკა ბახტაძე: ოკუპირებულ რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 6-ჯერ შემცირდა!

ორივე რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ექვსჯერ შემცირდა ოკუპაციამდელ პერიოდთან შედარებით, — მის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ეს სტატისტიკაც ნათლად მეტყველებს, თუ რა მძიმე ვითარებაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

„სამწუხაროდ, რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას. ჩვენ გვაქვს ძალიან მძიმე სურათი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ვენ ვართ ერთგული ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის, ჩვენ ვართ ერთგული იმისა, რომ ეს კონფლიქტი უნდა გადაიჭრას მსოფლიო თანამეგობრობის ჩართულობით. ჩვენ ვცდილობთ და ვაკეთებთ მაქსიმუმს, რომ დავიწყოთ რეალიზაცია იმ სამშვიდობო ინიციატივის, რომელიც მომზადებულია საქართველოს მთავრობის მიერ, რომ როგორმე შევაჩეროთ ის ჰუმანიტარული კატასტროფა, რომელიც არის ორივე რეგიონში. მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ექვსჯერ შემცირდა ოკუპაციამდელ პერიოდთან შედარებით. თავად ეს სტატისტიკაც ნათლად მეტყველებს, თუ რა მძიმე ვითარებაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რუსეთმა უნდა შეასრულოს მის მიერ 2008 წელს ნაკისრი ვალდებულება და გაიყვანოს თავისი სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიიდან. ჩვენ ვართ ერთგული სამშვიდობო პოლიტიკის, გვაქვს სრული მხარდაჭერა ჩვენი მეგობარი ქვეყნების მხრიდან, რომ ის სამშვიდობო ინიციატივები, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მომზადდა, არის ერთადერთი სწორი პასუხი იმ მტკივნეულ გამოწვევებზე, რომელიც ჩვენ გვაქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, — განაცხადა ბახტაძემ.

იენს სტოლტენბერგი: იმედი მაქვს, მალე მოგესალმებით ნატოში

საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი. **თქვენ ხართ არაწევრი, თუმცა ძალიან დიდი წვლილის შემტანი ჩვენს საქმიანობაში,** – ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„ჩვენ მივესალმებით შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებულ როლს, ამიტომაც, ვაძლიერებთ ურთიერთობებს საქართველოსა და ნატოს შორის და ეს თანამშრომლობა ყველა მიმართულებით გაძლიერდება. სამხედრო ძალები საზღვაო აკვატორიაში, ჩვენ ვნახავთ, დღეიდან რა შეიძლება გაკეთდეს ამ მრავალეროვნული სწავლების ფარგლებში. ჩემი ამ პოზიციაზე ყოფნის პერიოდში აქტიურდება საზღვაო აკვატორიაში მოქმედი სამხედრო დანაყოფები. მადლობა მასპინძლობისთვის, ვაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი. საქართველო არის ყველაზე მსხვილი მონაწილე ჩვენს ინიციატივებში, სამხედროების რაოდენობრივი და რიცხობრივი თვალსაზრისით და იმედი მაქვს, მალე მოგესალმებით ნატოში“, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ნატოს **გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, საქართველოს ნატოში გაწევრიანება მხოლოდ საქართველოს და ალიანსის 29 ქვეყნის გადასაწყვეტია. შესაბამისად, რუსეთს არ შეუძლია ამ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა.**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანაა და თავად გადაწყვეტს, თუ რომელ გაერთიანებაში გაწევრდება.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა გავლენას მოახდენს რუსეთის წინააღმდეგობა საქართველოს ნატოში ინტეგრაციაზე, სტოლტენბერგმა განაცხადა, თავის დროზე საბჭოთა კავშირი ეწინააღმდეგებოდა ალიანსში ნორვეგიის გაწევრებას, თუმცა საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის ამ წინააღმდეგობას გადაწყვეტილებაზე გავლენა არ მოუხდენია და ნორვეგია გახდა ალიანსის წევრი. ნატოს გენერალური მდივნის თქმით, საქართველომ უნდა გააგრძელოს რეფორმების განხორციელება სასამართლო სისტემისა და თავდაცვის უნარის გაძლიერების მიმართულებით.

სალომე ზურაბიშვილი: საქართველოს აქვს მშვიდობიანი პოლიტიკა და ეს იქნება ჩვენი გამარჯვების გზა

საქართველო **არის ქვეყანა, რომელსაც აქვს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკა, ეს არის ჩვენი ძალა და ეს იქნება ჩვენი გამარჯვების გზა“,** – განაცხადა NATO-ს გენერალურ მდივანთან შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთის ქმედებებიდან გამომდინარე, ოკუპაციის ხაზთან ძალიან დამძიმდა ვითარება, ეს იქნება გატაცებები თუ მუქარები ნატოს წვრთნების შესახებ.

„ეს ჩვენს პარტნიორებთან ჩვენი ყოველდღიური სათქმელი უნდა იყოს, რათა მათ იცოდნენ, რომ საქართველო, რუსეთის ამ აგრესიული პოლიტიკის მიუხედავად, განაგრძობს სამშვიდობო გეგმებსა და სამშვიდობო ნაბიჯებს, რომელიც ყოველდღიურად უფრო რთული ხდება, როცა საოკუპაციო ხაზზე იკეტება გადასასვლელი პუნქტები.

ამის მიუხედავად, საქართველო არ ცვლის სამშვიდობო გზავნილებს. სხვა პოლიტიკა საქართველოს არ გააჩნია – მხოლოდ სამშვიდობო პოლიტიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა გააქტიურდეს ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატი, მიიღოს მან პოლიტიკური დატვირთვა, ან ჟენევაში ან სხვანაირად. არ შეიძლება, რომ ჩვენ შეგუებულნი ვიყოთ საკითხის მხოლოდ ტექნიკურ დონეზე გადაწყვეტას, რადგან რეალურად პროგრესი, რომ მშვიდობიანად გადაწყდეს ეს საკითხი, ამ ფორმით, არ არსებობს, თუ ჩვენი პარტნიორები რუსეთს ყოველდღიურად არ შეახსენებენ, რომ მან უნდა შეასრულოს არებული ვალდებულებები. ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აქვს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკა, ეს არის ჩვენი ძალა და ეს იქნება ჩვენი გამარჯვების გზა“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

„ღია კარი“ საქართველო-ნატოს ურთიერთობის ქვაკუთხედია!

საქართველოს **პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი მიიღო, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.**

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა ნატოს გენერალურ მდივანს მადლობა გადაუხადა საქართველოში სტუმრობისთვის და აღნიშნა, რომ ძალიან სასიხარულო და საპატიოა ის ფაქტი, რომ საქართველო ნატოსთან ერთად მასპინძლობს ნატოს წვრთნებს, რაც ძალიან სერიოზული გზავნილი და ნიშანია იმისა, თუ რა დონეზეა და როგორი ნდობით ხასიათდება ჩვენი ურთიერთობები.

„საქართველოს მოსახლეობისთვის ეს არის ძალიან დიდი ნიშანი იმისა, თუ რა გზაზე ვდგევართ – რომ ეს გზა უცვლელი და უალტერნატივოა, რომ ჩვენი მხრიდან ყველაფერი კეთდება – სამხედრო თუ პოლიტიკური რეფორმები, იმისათვის, რომ ამ გზაზე მყარად ვიაროთ.

ნატოს ღია კარის პოლიტიკა საქართველოსათვის ნატოსთან ურთიერთობის ქვაკუთხედია და ვხედავთ, რომ ეს პოლიტიკა გრძელდება, თუნდაც ჩრდილო მაკედონიის მიღებით, რაც ძალიან დიდი წინსვლის ნიშანია და ჩვენ ამ გზით გავაგრძელებთ სვლას“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ირაკლი კობახიძე: რეგლამენტის ამოქმედებიდან ასი დღე დასტურია იმისა, თუ რამდენად წარმატებულია რეგლამენტის რეფორმა

„გვსურს, რომ პარლამენტმა დაიკავოს მოწინავე ადგილი დემოკრატიულ ინსტიტუტებს შორის. ამის მთავარი წინაპირობა არის პარლამენტის გამართული, ეფექტიანი ფუნქციონირება და ახალი რეგლამენტი ამის შესანიშნავ საკანონმდებლო საფუძველს ქმნის“, – ამის შესახებ ირაკლი კობახიძემ პრეზენტაციაზე - „100 დღე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ამოქმედებიდან“ , სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პარლამენტის თავმჯდომარემ რეგლამენტის ამოქმედებიდან გასული 100 დღე შეაჯამა და დამსწრეებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ძლიერი პარლამენტი ნიშნავს ძლიერ დემოკრატიას. **„ძლიერი პარლამენტის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში ძლიერი დემოკრატიის არსებობა. აქედან გამომდინარე, ჩვენი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული პარლამენტის პოლიტიკური და ინსტიტუციური გაძლიერებისკენ, ინსტიტუციური განვითარებისკენ და ამ პროცესში, თითოეული ჩვენი პარტნიორის, საერთაშორისო პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური სუბიექტების როლი ძალიან მნიშვნელოვანია“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თვისებრივად გაძლიერება იყო ის ამბიციური ამოცანა, რომელიც მმართველმა გუნდმა 2016 წლიდან დაისახა.

ილია II: ავტოკეფალია რომ არ ყოფილიყო, არავინ იცის, რა შეიძლება მომხდარიყო ჩვენს ცხოვრებაში!

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე

გუშინ, 25 მარტს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ავტოკეფალიის აღდგენის დღე აღნიშნა.

ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ დოკუმენტი ქართველმა სამღვდელოებამ საგანგებო კრებაზე 1917 წლის 12 (25) მარტს მიიღო. იმავე წლის სექტემბერში ქართულმა ეკლესიამ 106-წლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ, კვლავ აირჩია კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი, რომელიც შემდგომ მარტყოფის მონასტერში მოკლეს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ არ არსებობდა ამ აღიარების წერილობითი დასტური. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობით, მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა.

* * *

სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში პარაკლისის დაწყებამდე იქადაგა.** უწმინდესის განცხადებით, რომ არა ავტოკეფალია, არავინ იცის, რა შეიძლება მომხდარიყო საქართველოს ცხოვრებაში:

„დღეს განსაკუთრებული დღეა, ისტორიული, რომელიც აღემატება ისტორიულ ფაქტს – აღდგენა ავტოკეფალიისა საქართველოს ეკლესიისა. ჩვენ ქედს და მუხლს ვიყრით ჩვენი წინაპრების წინაშე, რომელთაც იღვაწეს ამ აღდგენისთვის. ეს იყო კირიონ პატრიარქი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე და სხვა.

საქართველომ ავტოკეფალია მიიღო ვახტანგ გორგალის დროს, მეხუთე საუკუნეში. პირველი კათოლიკოსი პეტრე ამბობს, რომ საქართველომ მიიღო ავტოკეფალია ანტიოქიის ეკლესიიდან და ამ საუკუნეების განმავლობაში სულ ვიცავდით ჩვენს ავტოკეფალიას. 1500 წელი დასჭირდა, რომ ეცნო მაშინდელ მსოფლიო პატრიარქს ჩვენი ავტოკეფალია. ეს იყო დიმიტრიოსი, რომელიც მოღვაწეობდა ბართლომეოს პირველის წინ.

შევთხოვთ უფალს, რომ ავტოკეფალია სუფევდეს საქართველოში. ავტოკეფალია რომ არ ყოფილიყო, არავინ იცის, რა შეიძლება მომხდარიყო ჩვენს ცხოვრებაში“, – განაცხადა პატრიარქმა.

გიორგი ანდრიაძე მთაწმინდის შუალედურ არჩევნებში იყრის კენჭს

„ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის“ ლიდერი გიორგი ანდრიაძე მთაწმინდის შუალედურ არჩევნებში იყრის კენჭს.

„მე დავრეგისტრირდი მთაწმინდის მაჟორიტარ კანდიდატად.იმედი გვაქვს წარმატებისა, იმიტომ, რომ რადგან წინა არჩევნები, რომელიც ჩვენ გავაანალიზეთ, რაც მთაწმინდაზე ჩატარდა, ნაციონალების რეიტინგი არის ძალიან დაბალი, „ოცნებამაც“ მხოლოდ მეორე ტურში და ისიც სხვადასხვა ბერკეტებით, ფინანსური და ასე შემდეგ, ჩარევით მიიღო მხარდაჭერა. მთაწმინდის ელექტორატი არის მზად იმისათვის, რომ აირჩიოს მესამე გზა“, – განაცხადა ანდრიაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ბილწთა ზავი

სპორტის ზოგიერთ სახეობაში გამოიყენება ხოლმე ასეთი ხერხი: გუნდში ჰყავთ მოთამაშე, რომლის ფუნქციასაც მოწინააღმდეგის საუკეთესო მოთამაშის, ლიდერის მწყობრიდან გამოყვანა წარმოადგენს. ის მუდმივად ეუხეშება თავის ვიზავის, ეთავხედება და ამით ცდილობს ან ტრამვა მიაყენოს მას, ან მოთმინებიდან გამოიყვანოს და სხვა მიმართულებით გადართოს მისი ყურადღება. სამწუხაროდ, ასეთი ე.წ. „ჩამშლელები“ არცთუ იშვიათად აღწევენ ხოლმე მიზანს.

გვახსოვს პელეს, მარადონას, თუნდაც ჩვენი კახი ასათიანისა და დავით ყიფიანის ტრამვები, რაც თითოეულ მათგანს, მათ გუნდებს და გულშემატკივარს ძალიან ძვირად დაუჯდათ. ხშირია ასეთი „ტაქტიკური“ ხერხების გამოყენება ჰოკეისა და კალათბურთშიც. **მოთმინებიდან გამოყვანის ყველაზე მკაფიო და თვალსაჩინო მაგალითია ზიდანისა და მატერაცის ცნობილი ეპიზოდი ფინალიდან,** რასაც შედეგად წონასწორობიდან გამოსული ზიდანის გუნდისთვის ჩემპიონობის დაკარგვა მოჰყვა.

„ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებულ ორგანიზაციათა და პირთა წრე დიდი ხანია, შემოისაზღვრა. ესენია:

„ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ქვედანაყოფები — „ევროპული საქართველო“ (ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა ყველა კითხვა მოხსნა „უთანხმოებებთან“ დაკავშირებით), „ჯიბის“ ერთკაციანი პარტიები, სტაჟიანი და „ბრძოლებში გამოცდილი“, საეჭვო გრანტებით ნაკვები „სამოქალაქო სექტორი“, „გაურკვეველი“ წყაროებიდან დაფინანსებული მედია „რუსთავი-2“-ის წინამძღოლობით („ტვ პირველი“, „კავკასია“ და სხვ.) და რამდენიმე ე.წ. ექსპერტი, რომელთა ნაწილიც სააკაშვილს „მუდმივ შტატში“ ჰყავს (მაგ. ხუხაშვილი, ცისკარიშვილი და სხვ.), ნაწილი კი „სახელშეკრულებოზე“, სიტუაციიდან გამომდინარე (საყვარელიძე, ლაგაზიძე, გამზარდია და სხვ.);

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ე.წ. „აუქციონის პარტიები“, რომელთა მიზანიც, მათი არსებობის მანძილზე, ლოკომოტივის (ანუ, ჯიბეზე ხელის გამკვრელის) მოძებნა იყო, რა თქმა უნდა, კონკრეტული მომენტის შესაფერისი სარფიანი პირობებით (ლეიბორისტული პარტია, ბერძენიშვილები თავის უსუფაშვილ-ხიდაშელით, ელისაშვილი, კუკავა და სხვ.);

სპორტის გუნდური სახეობებისგან განსხვავებით, ისეთი აბსურდული ვითარებაა შექმნილი, რომ **ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტ-ობიექტებიდან არც ერთი არაა პოლიტიკური მოთამაშე, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით და ყველა ე.წ. ჩამშლელია,** ყველაზე ბინძური მეთოდებით.

რაც შეეხება მეთოდებს:

წესი პირველი — ხელისუფლებამ რაც არ უნდა კარგი საქმე გააკეთოს, ის მაინც ნეგატიურად უნდა წარმოაჩინო — უნდა გალანძღო, უნდა გააქილიკო ან გაკეთებულის მნიშვნელობა უნდა დააკნინო. თუ ამას ვერ ახერხებ, მაშინ „ერთგული“ ჟურნალისტების მეშვეობით თემის გადაფარვა, ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანა უნდა სცადო, სხვა „ნიუსი“ უნდა შემოაგდო (მაგალითად შვილმა მშობელი როგორ მოკლა, ან პედოფილი როგორ დასდევდა უბნის ბავშვებს და სხვ.);

წესი მეორე — სამიზნე მხოლოდ წამყვანი სახეები უნდა იყვნენ;

წესი მესამე — არც ერთმა დღემ არ უნდა ჩაიაროს ნეგატივის გარეშე!!!

ჩამონათვალის თანმიმდევრობა პირობითია, რადგან **აღნიშნული „წესებიდან“ ყველა მთავარია.** ყველა კონკრეტული თავდასხმის **„წარმატების“ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველანაირი უკადრებლის კადრება, ტყუილითა და ცილისწამებით დაწყებული და შეურაცხყოფით დამთავრებული.**

მეტი თვალსაჩინოებისთვის მეორე „წესზე“ ვთქვათ ორიოდ სიტყვა - ამ ეტაპისთვის „ქართულ ოცნებაში“ ოთხი ლიდერი გამოიკვეთა: ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი კობახიძე, კახა კალაძე და გიორგი გახარია. „ქართული ოცნების“ ოთხივე ხსენებული სახე წარმატებული ადამიანია პოლიტიკაშიც და პოლიტიკამდე ცხოვრებაშიც, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, თუ სინდის-ნამუსზე ხელი აღებული გაქვს და სიბინძურის ფრქვევა ცხოვრების წესად გაგიხდია?!

ოთხივეს როლი სახელმწიფოს მდგრად განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და ოთხივე ქმნის კონკრეტულ, მასშტაბურ პოლიტიკურ თუ მატერიალურ პროდუქტებს.

გიორგი გახარიას, მუდმივად, ბეწვის ხიდზე უწევს სიარული, პოლიტიკოსის ნიღაბს ამოფარებულ ქვეყნის არევის მსურველთა შეუზღუდავი „პოლიტიკური“ თარეშის ფონზე. მიუხედავად ამისა, **საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის რეიტინგი მუდმივ ზრდას განიცდის და ერთ-ერთი მოწინავე ვართ ევროპის სახელმწიფოებს შორის;**

კახა კალაძე არათუ გვახარებს, არამედ გვაოცებს კიდეც ყოველდღიური ახალი ამბებით. მან მუშაობის ერთი წლის თავზე უკვე დაიმსახურა კვალიფიციურ სპეციალისტთა და ყველაზე ობიექტურ შემფასებელთა დიდი ნდობა და დედაქალაქის საზოგადოების სიყვარული. **ყველა მიმართულებით თვალშისაცემია ძირეული ცვლილებები** — „სითი პარკი“, ავტობუსები, ტაქსი, ინფრასტრუქტურული პროექტები, გენგეგმა, ჩარჩოებში მოქცეული მშენებლობები, ვაკის პარკის პრობლემა... სია ვრცელია და მრავალფეროვანი;

ირაკლი კობახიძე განსაკუთრებულ დახასიათებას მოითხოვს, რადგან განსაკუთრებული მოვლენაა ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. მისი ხელმძღვანელობით და **მისი დიდი პირადი ღვაწლით შემუშავებული (ფაქტობრივად ახალი) კონსტიტუცია არა მხოლოდ მაღალი ხარისხის თანამედროვე ევროპული სტანდარტების დოკუმენტია. ის რეალურად, მაღალი დემოკრატიული მოთხოვნების შესაბამისად, ცვლის პოლიტიკურ გარემოს ქვეყანაში.**

ქვეყნის ახალი მთავარი კანონის საფუძველზე, ყველა კონსტიტუციურ ინსტიტუციას მკაფიოდ განესაზღვრა საკუთარი უფლება-მოვალეობები და ხელისუფლების შტოებს შორის დამყარდა ის ბალანსი, რაც აუცილებელია მათი მაქსიმალური ქმედითუნარიანობის უზრუნველსაყოფად. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ **პარლამენტი „ნოტარიუსიდან“ და ორთქლის გამოშვების ადგილიდან იქცა პოლიტიკური პროცესების მთავარ ცენტრად.**

მარტო ეს მოვლენა (ძნელია სხვა სიტყვის მოძებნა) სრულიად საკმარისი პირობაა იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ **ირაკლი კობახიძემ, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის, თავმჯდომარეობის ორ წელიწადში გააკეთა იმაზე მეტი, ვიდრე მისმა ყველა წინამორბედმა ერთად აღებულმა.**

ასევე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ბოლო მოწვევის პარლამენტმა ორ წელიწადში გააკეთა (ისევ და ისევ) იმაზე გაცილებით მეტი, რაც წინა მოწვევის პარლამენტმა სრული ოთხი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება პარლამენტის მაკონტროლებელ როლს — ამ ფუნქციის რეალური განხორციელება, ორი-სამი თვის წინაც კი, მგონი მარტო ბატონ ირაკლის თუ სჯეროდა. დღეს ეს პროცესი ქართველი საზოგადოების ყოველდღიურობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ **ხალხის მმართველობა, ათეული წლების განმავლობაში ქაღალდზე დაწერილი სურვილიდან რეალობად იქცა.**

ირაკლი კობახიძის პოლიტიკურ ფიგურას ფართოდ იმ უბრალო მიზეზის გამო მიმოვიხილავ, რომ მოწინააღმდეგეებში, ბიძინა ივანიშვილის შემდეგ, ყველაზე დიდ აგრესიას იწვევს, რაც სრულიადაც არ არის გასაკვირი, რადგან ის არის პარტიის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მთავარი გამხმოვანებელი და მთავარი დამცველი საჯარო სივრცეში.

როცა სიმართლეს „გაჭრილად“ ამბობ, ტონზე შემოგედავებიან.

„ოპონენტები“ სწორედ ამ ხერხის გამოყენებით ცდილობენ პარლამენტის თავმჯდომარისთვის „პრობლემების“ შექმნას. **მე ჯერ არ მინახავს, ირაკლი კობახიძესთან ვინმეს არგუმენტებით ეკამათოს,** რადგან კარგად იციან, რომ ის არასდროს ამბობს იმას, რაც ცხრაჯერ არა აქვს გაზომილი და აწონილი.

ადრეც ვწერდი და კიდევ უნდა გავიმეორო — ირაკლი კობახიძის მაღალპროფესიული და პოლიტიკურად წვრილმანებამდე გათვლილი პრეზენტაციები კონსტიტუციისა და თვითმმართველობის თემებზე, აგრეთვე მისი მოხსენებები საერთაშორისო ფორუმებზე, ასწლეულების განმავლობაში იქნება დაცული საქართველოს პოლიტიკის ისტორიის ოქროს ფონდში. ერთსაც დავამატებდი — **ქართული პარლამენტარიზმის ოცდაათწლიან ისტორიას პრეზენტაციების ასეთი დონე და ხარისხი, ასეთი სიმაღლეები არ ახსოვს.**

მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქვეყანაში წესრიგი, სიმშვიდე და წინსვლისა და განვითარების ყველა საშუალება არსებობს, რომ თბილისს ასეთი მერი ჰყავს, რომ პარლამენტს ასეთი თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და ა.შ. და ა.შ. — არის ის პოლიტიკა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მოიტანა. **ამის მთავარი და ერთადერთი შემოქმედია ბიძინა ივანიშვილი,** ვისიც ქართველმა ხალხმა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის პირველივე დღიდან ირწმუნა და გვერდში დაუდგა. საბედნიეროდ, ქართველი საზოგადოების დიდი უმრავლესობა დღესაც სათანადოდ აფასებს ამ ღვაწლს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რისხვისა და აგრესიის მთავარი ადრესატიც სწორედ ის არის.

აშკარაა, რომ „ნაცმოძრაობას“ არჩევნების გზით ხელისუფლებაში დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადაეწურა, ამიტომ მთელი ძალებით რევოლუციურ სცენარზე გადაერთო. სცენარის სათაური ძველია — „ყველა ერთის წინააღმდეგ“. აქვე უნდა ითქვას, რომ **გეგმას და სათაურს ორი დიდი ნაკლი აქვს: „ყველა“, ამ შემთხვევაში, მხოლობითი რიცხვის სიტყვაა და ნიშნავს „ნაცმოძრაობას“ თავისი ქვედანაყოფებითა და სატელიტებით და მეორე — ეს „ყველა“ უკვე კარგად ნაცნობი ცუდი წარსულია, ამ წარსულში დაბრუნებაა, დამნაშავეთა და უთავმოყვარეო მედროვეთა ერთობაა, ანუ — „ბილწთა ზავი“.**

„აგორებისთვის“, ამ ეტაპზე, შერჩეულია **სამი თემა: „ძველი მოსამართლეები“, „ხაზარაძეს ჩაგრავენ“ და მაჟორიტარული არჩევნების გაუქმების თაოსნობა.**

რევოლუციური სცენარის მესვეურები კარგად აცნობიერებენ, რომ ხალხში, საზოგადოებაში, რევოლუციური განწყობები ნულოვანი ხარისხისაა და „ემიგრანტების ლაშქრის შემოსევაც“ უკვე ჩავარდნილი პროექტია. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ **გათვლა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კეთდება, ანუ ე.წ. საარჩევნო რევოლუციაზე.**

ზემოთ ჩამოთვლილი სამი თემიდან ცალ-ცალკე (ან თუნდაც ერთად) არც ერთს არა აქვს „ხალხის უკმაყოფილების“ მუხტის გაჩენის პერსპექტივა, ამიტომ მთავარი აქცენტები ისევ სოციალური პრობლემებისკენ იქნება მიმართული. სხვა თემები, უბრალოდ, ვითარების „დამძიმებისთვის“ იქნება გამოყენებული... და კიდევ ერთი — მათ დაფარული მოთამაშეების შეუფერხებელ მუშაობას, ან ამ უკანასკნელთა პოლიტიკაში შემოყვანას უნდა შეუწყონ ხელი.

ბიძინა დვალი

„ქართულმა ოცნებამ“ მთაწმინდის საარჩევნო ოლქში ლადო კახაძე წარადგინა

ლადო კახაძე მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატად პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა მდივანმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარტიის ცენტრალურ ოფისში წარადგინა.

„ბატონი ლადოსთვის ქალაქზე ზრუნვა უცხო არ არის. ის ჩვენ გუნდს გააძლიერებს“, — განაცხადა ღარიბაშვილმა. მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნები 2019 წლის 19 მაისს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მთაწმინდის ოლქში შუალედურ არჩევნებში კენჭს ასევე იყრიან სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილე, უფლებადამცველი სოფო ხორგუანი, ისტორიკოსი გრიგოლ გეგელია, „ევროპული საქართველოსა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი შალვა შავგულიძე და პარლამენტის ყოფილი წევრი კობა დავითაშვილი.

მერობის შუალედური არჩევნებისთვის „ოცნების“ კანდიდატები ცნობილია

პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკურმა მდივანმა ირაკლი ღარიბაშვილმა მერობის შუალედური არჩევნებისთვის კანდიდატები დაასახელა.

ზუგდიდი — **გიორგი შენგელია;**
მარნეული — **ზაურ დარგალი;**
ზესტაფონი — **გიორგი გოგლიჩიძე;**
ჭიათურა — **გივი მოდებაძე;**
ხულო — **ვახტანგ ბერიძე;**
შუალედური არჩევნები 19 მაისს გაიმართება.

21 მარტს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, „ანაკლიის კონსორციუმის“ სხვა ინვესტორით ჩანაცვლება არ გამორიცხა.

„ვცდილობთ, ვიმუშაოთ ამ ინვესტორთან და მივაღწიოთ წარმატებას, თუ ეს იქნება შესაძლებელი, თუ ეს არ მოხდება, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვართ დაინტერესებული ამ პროექტის შესრულებით და ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს, ჩვენ არ გვექნება სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ ვეძებოთ ალტერნატიული ინვესტორი ან განვიხილოთ იმის შესაძლებლობა, რომ სახელმწიფომ ხომ არ ააშენოს ჯერ ეს პორტი და მერე ეძებოს ინვესტორი, რომელიც ამ პროექტის ოპერირებას მოახდენს. სახელმწიფოს არასოდეს არ ჰქონია, არ აქვს და არ ექნება მომავალში იმის სურვილი, რომ ჰქონდეს პორტი სახელმწიფო საკუთრებაში“, *— თქვა მინისტრმა.*

2015 წელს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ინტერესი ოფიციალურად გამოხატა თორმეტმა საერთაშორისო და ადგილობრივმა კომპანიამ, რომელთაგან, სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით, ე.წ. „მოკლე სიაში“ ერთ-ერთი (შემდგომში გამარჯვებული) იყო „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“, რომელიც წარმოდგენილი იყო ორი კომპანიით — „თიბისი ჰოლდინგითა“ და „კონტი ჯგუფით“. და ასევე იყო ჩინური კომპანია „ჩაინა პაუერი“.

ბოლო პერიოდში გააქტიურდა საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა, ანაკლიის განვითარების კონსორციუმი, სწორედ ჩინური კომპანიით ჩანაცვლდეს. რას მოუტანს ქვეყანას უსაფრთხოების კუთხით პორტის ჩინური კომპანიისთვის მმართველობაში გადაცემა, ამ და სხვა საკითხებზე „აქცენტი“ საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების სპეციალისტს გიორგი გობრონიძეს ესაუბრა.

ანყოგს თუ არა საქართველოს ჩინური ინვესტიცია?

ანაკლიის პორტში მაინც რა ინტერესი აქვს ჩინეთს

— გიორგი, როგორ უყურებთ ანაკლიის პროექტში ჩინური კომპანიის შემოსვლის პერსპექტივას უსაფრთხოების კონტექსტში?

— უსაფრთხოების კონტექსტში ზოგადად, ჯობია, რომ არ შემოვიდეს. დავიწყოთ იმით, რომ ზოგადად, ანაკლიის პროექტი საკმაოდ სენსიტიურია საქართველოსთვის და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის არ არის მიზანშეწონილი და სასურველი, ეს პროექტი რომელიმე სახელმწიფოს დიდი გეოპოლიტიკური თამაშის ობიექტად გადაიქცეს. რატომ არის ჩინეთი ამ პროექტით დაინტერესებული? — თუ გავიაზრებთ, როგორ ვლინდება „ერთი სარტყელი — ერთი გზა“ ჩინეთის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მან დააანონსა ჯერ კიდევ, თუ არ ვცდები, 2015 წელს იგი ცდილობს, მსოფლიოში შექმნას ერთგვარი ქსელი, რომელიც ხელს შეუწყობს მისი ტვირთების მოძრაობას და საშუალებას მისცემს მას, თავი დაიცვას ნებისმიერი ტიპის ეკონომიკური ბლოკადისგან. სწორედ ეს არის ჩინური გზისა და სარტყელის ამოცანა, როგორც ასეთი. ეს არის ერთგვარი დიდი მექანიზმი ჩინეთისა, მსოფლიოს გარშემო გარანტირებული ჰქონდეს მნიშვნელოვანი წვდომა მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძებზე. საქართველოს საკუთრივ ჩინეთთან არანაირი პრობლემა არ აქვს, მაგრამ ეს მომენტი მხედველობაშია მისაღებია იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენ გადავიქცევით დიდი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური თამაშის ნაწილად. **ამიტომ სჯობს, ანაკლიის პორტი გაკეთოს იმან, ვინც აკეთებს და არ არსებობდეს ორაზროვნება, გარკვეული განცდა იმისა, რომ ეს პროექტი და ეს პორტი შეიძლება, გამოყენებულ იქნას სხვა რომელიმე სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად, რომელიც გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე შესაძლოა, არ დაემთხვას ჩვენი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს.** ჩინეთი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია ინფრასტრუქტურული პროექტების მხრივ, აფრიკისთვის იგი №1 ინვესტორია, მაგრამ რა მოაქვს ჩინურ ინვესტიციას აფრიკული ქვეყნებისთვის — საბოლოო ჯამში არც არაფერი. აქედან გამომდინარე, პირადად ჩემთვის, თუ მექნება არჩევანის საშუალება, ყოველთვის მირჩევნია ან დასავლური, ან სხვა რომელიმე ინვესტიცია (რუსული არა, რა თქმა უნდა) ჩინურ ინვესტიციას.

— თქვენ ახსენეთ, რომ არის რისკი, გეოპოლიტიკური თამაშების ნაწილად არ იქცეს ეს პროექტი, მაგრამ აქ ოპონენტებმა შეიძლება, დასავლეთის დიდი ინტერესი მოგიყვანონ საპირწონედ...

— დიახ, უამრავი მითი მესმის ამის შესახებ, მაგალითად, თითქოს ამერიკელებს სურთ, ეს პორტი სამომავლოდ სამხედრო ბაზად გამოიყენონ და ა.შ., მაგრამ ჩვენ რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში ვიყოთ და სტრატეგიული ინტეგრაციის მხრივ არჩევანი ჩინეთის სასარგებლოდ გვქონდეს გაკეთებული, მაშინ კი ბატონო, მაგრამ ეს ასე არ არის, **ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი დასავლური ინტეგრაციის პოლიტიკაა და ჩვენ მას ბოლომდე უნდა გავყვეთ. ამ კონტექსტში ჩემთვის დასავლეთის დაინტერესება ამ პროექტით მისაღებია და სასურველიც კია, განსხვავებით ჩინეთისგან. და სწორედ ეს არის კიდევ ერთი დიდი რისკი, დასავლური და ჩინური ინტერესების გადაკვეთა არ მოხდეს რეგიონში ამ სატრანსპორტო კვანძთან დაკავშირებით. ჩვენ ამ შემთხვევაში დასავლურ ინტერესებთან გვაქვს თანხვედრა, განსხვავებით ჩინურისგან, ჩინელები მართალია, ჩვენს ინტერესებს არაფერში ეწინააღმდეგებიან, თუმცა არც ემთხვევიან, შესაბამისად, სჯობს, გვქონდეს თანხვედრა, ვიდრე არდამთხვევა და პარალელურ რეჟიმში გვქონდეს ინტერესები.**

— მუსირებს ასეთი მითიც ანაკლიის პორტთან დაკავშირებით გეოპოლიტიკური თამაშების კონტექსტში,რომ პორტს შეუძლია, საკვანძო როლი ითამაშოს, დასავლეთ-რუსეთის დაპირისპირებაში უსაფრთხოების კუთხით...

— ანუ ვინმეს იმის თქმა უნდა, რომ თუკი ნატოს კოალიციამ ანაკლიის პორტში წყალქვეშა ხომალდები არ დააყენა, ისე ალიანსი ვერ ჯაბნის რუსეთს შავ ზღვაზე? დღეს შავ ზღვაზე ყველაზე ძლიერი კომპონენტი აქვს თურქეთის რესპუბლიკას ნატო-რუსეთის სამმავლო ჰიპოტეთიური დაპირისპირების პირობებში, ამიტომ ანაკლიის პორტი არაა საჭირო იმისთვის, რომ რუსული შავი ზღვის ფლოტი თურქეთის ფლოტმა რამდენიმე საათში გაანადგუროს. ამას არაფერი სჭირდება, რადგან რუსეთის შავი ზღვის ფლოტი მართალია, ქართველებს გვაშინებს, მაგრამ ვერანაირად ვერ აშინებს ნატოს წევრ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც შეუძლიათ, რეალური კონტრიბუცია შეიტანონ ალიანსის თავდაცვის ძალებში საკუთარი არმიებით. ასეთია, მაგალითად, თურქეთი, ნატოს მეორე არმია, როგორც ასეთი. და მართალია, სადღეისოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები თითქოს დალაგებულია, მაგრამ ძალიან მალე იმასაც ვნახავთ, რომ ისინი კიდევ უფრო გაუარესდება, ვიდრე აქამდე ყოფილა.

— რატომ?

— პირველ რიგში — იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით რუსეთი და თურქეთი არ მისულან იმ კრიტიკულ წერტილამდე, სადაც ისინი არ დაელაპარაკებიან ერთმანეთს. ეს ხდება ახლა ახლო აღმოსავლეთში. რუსეთისა და თურქეთის პოლიტიკები ერთ რამეში ჰგვანან ერთმანეთს: რუსეთი საქართველოს უკანა ეზოდ აღიქვამს და არ სიამოვნებს აქ სხვა აქტიორების გამოჩენა, და ანალოგიურია თურქეთიც, რომლისთვისაც მაინც და მაინც არ არის სასიამოვნო მოვლენა ის, რასაც რუსეთი სირიაში აკეთებს. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც თურქეთი შეძლებს სხვა საკითხების დალაგებას, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში საკითხი, რომ ახლო აღმოსავლეთიდან რუსეთი უნდა გავიდეს. და აი, ამ მომენტში უკვე ძალიან დაიძაბება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები, რადგან რუსეთი ძლივს გახდა, მისივე მოსაზრებით, საერთაშორისო დონის პროაქტიური მოთამაშე და თუ რაღაც მომენტში თურქეთი ეტყვის, წადიო, ეს ნამდვილად არ მოეწონება. ამის პირველი ნიშნები უკვე სახეზე იქნებოდა, უბრალოდ დროში გადაიწია, თუმცა ეს მოვლენა გარდაუვალია. ასევე საკითხი, თუ ვინ არის ლიდერი რეგიონში, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და კავკასიის რეგიონთან მიმართებაში და აქაც აუცილებლად დაეძაბებათ ურთიერთობები. რომ გადახედოთ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს, ისტორიის მანძილზე, მუდმივად ვხვდებით დაახლოებებს, რომელიც ბოლოს ომით მთავრდება. იმედია, ახლა ომი აღარ მოხდება, მაგრამ ურთიერთობების გაუარესება ნამდვილად მოსალოდნელია. ამდენად, ძალიან მალე შესაძლოა, ისევ გახდეთ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დაძაბვის მომსწრენი და არ უნდა გვქონდეს ილუზია და ცრუ მოლოდინი იმისა, რომ ოდესმე, თეორიულად (რისი ალბათობაც ძალიან დაბალია), ნატოს კოალიციასა და რუსეთის ომის შემთხვევაში, თურქეთი არ გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს რუსეთის წინააღმდეგ — კიდევ გამოიყენებს და თანაც როგორ. შესაბამისად, ანაკლიის პორტი არაფერში სჭირდება ნატოს იმისთვის, რომ ყირიმთანვე დატოვოს რუსული შავი ზღვის ფლოტი.

დიანა მუსელიანი

ირაკლი მაკალათია: ანაკლიის პორტი აქციებად გადავცეთ საქართველოს მოქალაქეებს

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი მაკალათია თვლის, რომ ანაკლიის პორტის პროექტის პერსპექტივა გაცილებით დაზღვეული იქნებოდა, ის რომ პრივატიზებული იყოს და თავის დროზე მისი აქციები სახელმწიფოს საქართველოს მოქალაქეებისთვის გადაეცა:

„ანაკლიის პორტი უნდა გამხდარიყო სააქციო საზოგადოება, აქციები დარიგებოდა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. გავხდებოდით მესაკუთრეები. ეს პროექტი თუ იქნებოდა საინტერესო და ცხადია, იქნებოდა, დაინტერესებდა ინვესტორებს, ეს ადამიანები მოვიდოდნენ და ჩვენგან იყიდდნენ ამ აქციებს. ნაწილს გავყიდდით, ნაწილს არ გავყიდდით. იგივე „თიბისი ჯგუფიც“ იყიდდა ნაწილს, ბატონი ბიძინაც იყიდდა, ბატონი ხაზარაძეც, ყველა ბიზნესსუბიექტი. ცხადია, 100 პროცენტით ვერავინ იყიდდა. გამორიცხულია, 3 მილიონ ადამიანთან ერთდროულად მიხვიდე და იაფად იყიდო, გამორიცხულია. ამასთან, ყოველ შემდეგ ნაბიჯზე ძვირდება აქციის ფასი. ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდებოდა და მშვიდად დაელოდებოდნენ მოგებას“.

ეკონომისტისთვის სრულიად ცხადია, რომ დღევანდელი პრობლემები ბიზნესისა და სახელმწიფოს დაჯახებამ გამოიწვია: **„რცა ბიზნესი დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, ასეთი თემები ყოველთვის გარდაუვალია. „ომეგას“ საქმეც ეგრე იყო. ბიზნესი დაუახლოვდა სახელმწიფოს და როცა ერთ-ერთ მხარეს არ მოეწონა, გაწყვიტეს ეს ურთიერთობა. გამოიწვია ამან წარმოების შემცირება, „იბერიის“ დახურვა, საწარმოდან და ტელეკომპანიიდან ადამიანების გათავისუფლება. მთელი უარყოფითი კასკადი წამოვიდა. მივდივართ საბჭოთა სოციალისტური გზით. ასეთი ჩარევებით — სახელმწიფოს კავშირით ბიზნესებთან ცუდი შედეგები მივიღეთ.**

ცხადია, უარყოფითად აისახება იგივე „თიბისიზე“, ქვეყნის იმიჯზე, თითოეულ მოქალაქეზე“.

რაც შეეხება „თიბისის“ საქმეს, ირაკლი მაკალათია ხაზს უსვამს, რომ პროკურატურის მიერ აღძრულ საქმეში არ ჩანს დაზარალებული:

„დაზარალებული მხარე არ გვყავს. „თიბისი ბანკი“ არ დაზარალებულა. არ დაზარალებულა ის კომპანია, რომელსაც ასესხა და უკან დაუბრუნა. მეანაბრეებს არ შექმნიათ პრობლემა. მათ მიმართ ვალდებულებები სრულდებოდა. ბიუჯეტს არ დაკარგვია შემოსავალი. ბუნებაში დაზარალებული არ გვყავს და რატომ ვჩივით, საინტერესოა“.

ვითარების ნათელსაყოფად ირაკლი მაკალათიას უფრო მცირე კერძო მაგალითიც მოჰყავს: **„მე მეგობარს ვასესხე 1000 ლარი ერთი თვით და ერთ კვირაში ვუთხარი — ჩამოგაწერე ვალი, აღარ მინდა დაბრუნება. ამ დროს სახელმწიფო მოდის ჩემთან და მეუბნება, შენ რატომ წახვედი წაგებაზე? ანუ, ჩემზე საზრუნავად მოდის სახელმწიფო და მეუბნება — ან შენ გცემ, ან მეგობარს, ან ორივეს ერთადო“.**

ირაკლი მაკალათია საუბარს ასრულებს კვლავ ანაკლიის პორტის აქციების მოქალაქეებისთვის გადაცემისკენ მოწოდებით: **„ანაკლიის პორტი აქციებად გადავცეთ საქართველოს მოქალაქეებს და მერე ეკონომიკა თავისით მიხედავს საქმეს“,** — ასკვნის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ნინო გელაშვილი

აკაკი ჩარგეიშვილი:

ანაკლიის პორტის მშენებლობა „საპენსიო ფონდში“ დაგროვილი საინვესტიციო ფულით დავაფინანსოთ!

ბიზნესსამართლის სპეციალისტი აკაკი ჩარგეიშვილი მთავრობას ინიციატივით მიმართავს — „ანაკლიის პორტის“ მშენებლობა დაფინანსდეს „საპენსიო ფონდში“ დაგროვილი საინვესტიციო ფულით, რომელიც უკვე 110 მილიონ ლარს გასცდა და ყოველდღიურად იზრდება.

როგორც ჩარგეიშვილი კომერსანტთან საუბარში განმარტავს, ამის შემდეგ ბევრი კითხვა მოიხსნება, დაფინანსება იქნება რეალური და შედეგზე ორიენტირებული. მისი განმარტებით, ამ თემის სწორად რეალიზაცია ყველა მხარეს შედეგობრივად კმაყოფილს გახდის. რაც მთავარია, ქვეყანა რამდენიმე მაღალი ნახტომით საერთაშორისო რეიტინგებში ამაღლდება.

მისივე განმარტებით, „საპენსიო საგენტო“ ვალდებულია, კანონით მოახდინოს ამ ფულის ინვესტირება სხვადასხვა ბიზნესებში, მან კი ეს დღემდე ვერ გააკეთა. ანაკლიის პროექტი შესანიშნავი საშუალებაა, დააბანდოს სააგენტომ ეს ფული ჩვენი ქვეყნისათვის სტრატეგიული და მომგებიანი პროექტის დაფინანსებაში. **„თან ჩვენ ყველა გავხდებით ამ პროექტის აქციონერები,“** — ამბობს ჩარგეიშვილი.

მისივე განმარტებით, საინვესტიციო საბჭო, რომელიც საპენსიო საგენტოში უნდა დაკომპლექტდეს, ალბათ ზაფხულამდე ვერ ამოქმედდება. ამ დრომდე კი სააგენტოში არსებული საპენსიო ანარიცხები 200 მილიონ ლარს გადააჭარბებს, ერთ წელში კი მისი მოცულობა 600 მილიონ ლარამდე გაიზრდება.

„ეს ფული დღეს უძრავად დევს. მაშინ, როდესაც საპენსიო ანარიცხების პირდაპირი დანიშნულება არის ის, რომ მისი ინვესტირება მოხდეს. ეს თანხა რომ განთავსდეს ანაკლიის პორტის დაფინანსებაში, ანაკლიის კონსორციუმი უნდა იყოს საჯარო სააქციო საზოგადოება,შესაბამისად, საპენსიო სააგენტო გახდება აქციონერი და ჩვენ ყველანი პროექტის დონორი აქციონერები.

ჩვენ ამით გავაკეთებთ უზარმაზარ, საშვილიშვილო საქმეს. ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებს თუ არ გააუქმებს საპენსიო ფონდს, ეს ფული დაბანდებული იქნება. ამ ფულით აშენდება საქართველოში სახელმწიფოს მიერ გაცხადებული, სტრატეგიული და მომგებიანი პროექტი. ჩვენ ამ პროექტის აქციონერები ყოველდღე ვიქნებით იმის ზრუნვაში, რომ პორტი კარგად მუშაობდეს.

ვაცხადებ, რომ დაფინანსების ფული მოძებნილია. ეს იქნება „საპენსიო ფონდის“ მიზნობრივი ხარჯვა“ — აღნიშნავს ჩარგეიშვილი.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა სულ 9 ფაზად არის დაგეგმილი. პროექტის ჯამური ღირებულება 2.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. პირველი ფაზისთვის 620 მილიონი დოლარია გათვალისწინებული. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის, პორტის მშენებლობის პირველი ფაზის საინვესტიციო კაპიტალი სრულად მობილიზებულია. ინვესტორთა შორის არიან: თიბისი ჰოლდინგი — 70 მილიონი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი — 400 მილიონი, საინვესტიციო ფონდი — 100 მილიონი, SSA Marine — 20 მილიონი, სხვადასხვა საერთაშორისო ფონდები — 30 მილიონი.

სოფო ძსოვრელი

ლაჩრებო, სამშობლო ვიღამ დაიცვას?

უძმდება ნორმა, რომლითაც მღვდელმსახურები სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით სარგებლობენ — ასეთია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმად, აღნიშნული ინიციატივა არ გავრცელდება მართლმადიდებელ სასულიერო პირებზე, რადგან მათთან დაკავშირებით კონკორდატით გათვალისწინებული წესი მოქმედებს.

რაც შეეხება მეორე ინიციატივას, ეს იმ წვევამდელებს შეეხება, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობენ და სამხედრო სავალდებულო სამსახური გადავადებული აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოთქვამენ სურვილს, სწავლის პარალელურად მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური ძალოვან სტრუქტურაში, ყოველთვიურად მიიღებენ 200 ლარს, ისარგებლებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი შეღავათებით და სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ.

როგორც ირაკლი სესაშვილი აცხადებს, წარმოდგენილი ცვლილება, ერთი მხრივ, ემსახურება ქვეყნის ინტერესს და, ამავდროულად, მიმართულია სტუდენტების ინტერესების ხელშეწყობისკენ. რაც შეეხება ცვლილებას, რომლითაც უქმდება ნორმა, რომელიც ეხება მღვდელმსახურებს, რომ ისარგებლონ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით, სესიაშვილის განცხადებით, ამ ნორმასთან მიმართებაში გამოიკვეთა ხარვეზები და პრობლემური საკითხები, რომლებიც დარეგულირებას საჭიროებს.

როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, პირები, რომლებიც სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესაბამისად, უარს განაცხადებენ მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური, აქვთ კანონიერი უფლება და ვალდებულება, გაიარონ არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახური სამხედრო სავალდებულო სამსახურის ნაცვლად. სესიაშვილი ამბობს, რომ აქვს პასუხისმგებლობა, გაწვევის სისტემამ ნორმალურად იმუშაოს და წვევამდელების დეფიციტი არ იყოს.

„ჩემი ინიციატივა იმას შეეხება, რომ გაწვევის სისტემას ხელი შევუწყოთ. ჩვენ ვთქვით, რომ პენიტენციურ სისტემაში ეტაპობრივად წვევამდელებს აღარ გავიწვევთ. ჩვენ ვთქვით, რომ სტუდენტებს მივცემთ უფლებას და შესაძლებლობას, რომ სამხედრო სამსახური დაცვის პოლიციაში გაიარონ და ამით ის ტვირთი მოიხსნან, რომ სწავლის დასრულების შემდეგ სამხედრო სამსახურს აღარ გაივლიან.

რაც შეეხება მღვდელთმსახურებთან დაკავშირებულ საკითხს, მე ვიტყოდი, რომ არაკეთილსინდისიერად სარგებლობა გაწვევის სისტემას ძალიან სერიოზულ პრობლემას უქმნის. „გირჩის“ გარდა, მრავლდებიან სხვა ორგანიზაციებიც, ვინც გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ასეთ ცნობებს იძლევა. თუ ასე გაგრძელდა, ამ ფორმით მღვდელმსახური უფრო მეტი გვეყოლება, ვიდრე ჯარისკაცი. ჩემი ინიციატივით, იმ მუხლს ვაუქმებთ, რომელმაც გაწვევის სისტემას პრობლემა შეუქმნა“, — აცხადებს ირაკლი სესიაშვილი.

სესიაშვილი ამბობს, რომ კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, დისკრიმინაციას ადგილი არ ექნება, რადგან ნებისმიერი კონფესიის წარმომადგენელს, ისევე როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, თუკი მას სამხედრო სავალდებულო სამსახურში წასვლა არ უნდა, ალტერნატიულ შრომით სამსახურში წასვლის შესაძლებლობა აქვს.

„ჩვენი ქვეყანა კონსტიტუციის დონეზე შეთანხმდა და კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ქვეყანაში მართლმადიდებლურ ეკლესიას განსაკუთრებული როლი აქვს. ეს განსაკუთრებულობა სხვადასხვა შეღავათებს გულისხმობს. ამ მხრივ ჩემი მხრიდან არავითარი ცვლილება შემოთავაზებული არ არის. მე მხოლოდ იმ ნაწილს ვეხები, რაც გაწვევის სისტემას აზიანებს“...

პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ ინიციატივით კი სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისგან 7 ათასამდე ადამიანი გათავისუფლდა.

— რაღაც ფარატინა ქაღალდით მიდიან წვევამდელები გამწვევ პუნქტში და სამხედრო ვალდებულებას თავს არიდებენ, რაც საერთო ჯამში სერიოზულ პრობლემას უქმნის გაწვევის სისტემას. ჩემი აზრით, კანონის ამ მუხლის გამოყენება არის ერთი მხრივ, არაკეთილსინდისიერი მიდგომა, ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის კორუფციის წყარო.

„ასეთი სახით ამ კანონის მიღება, ვფიქრობ, არ შეიძლება. რაც შეეხება მეორე საკითხს, ჩვენს ახალგაზრდებს უნდათ თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნა, ალბათ, სახელმწიფომ უფრო მეტი უნდა გააკეთოს, რომ ამ ადამიანებს მოუნდეთ თავისი სამშობლოს დაცვა. უნდა ამაღლდეს პატრიოტული სულისკვეთება ქვეყანაში.

ახალგაზრდებს არ უნდათ შეიარაღებულ ძალებში წასვლა. შეიარაღებულ ძალებში უნდა ავამაღლოთ ხარისხი მომსახურებისა, მათი წვრთნა, გავაუმჯობესოთ სოციალურ-ეკონომიკური პირობები, აქედან გამომდინარე უფრო მეტად მივიზიდავთ ამ ადამიანებს, ვიდრე იმით, რომ აკრძალვები დავაწესოთ. ასეთი აკრძალვების შემთხვევაში ყოველთვის მოიძებნება რაღაცა ხვრელი, რითიც ადამიანები შეძლებენ, თავი აარიდონ სამხედრო სამსახურს... ასეთი კანონები ვერ იქნება შედეგის მომტანი და ამაზე

„გირჩის“ ამორალური თაოსნობა, რომელიც ანგრევს ქვეყნის თავდაცვის სისტემას!

ცნობილია „გირჩთან“ ასოცირებული ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც 20-დან 100 ლარამდე იღებს თანხას იმ ერთ ფარატინა ქაღალდში. საერთო ჯამში, თუ არ ვცდები, 6 ათას 500-მდე წვევამდელმა გამოიყენა ეს ფურცელი. 300 ათას ლარზე მეტიც შეიძლება გამოვიდეს ის თანხა, რაც მათ შეუვიდათ ამ ერთი ფურცლის გამო, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

სესიაშვილის ინიციატივას აკრიტიკებს „გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე და აცხადებს, რომ კანონპროექტი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შესახებ არა სესიაშვილს, არამედ საპატრიარქოს ეკუთვნის. ჯაფარიძე დარწმუნებულია, რომ სესიაშვილის კანონპროექტი ვერ გავა.

თუ გავიდა, ნებისმიერ შემთხვევაში ამ კანონპროექტს გააჩერებს. გარდა ამისა, ჯაფარიძე თვლის, რომ ინიციატივა, რომლითაც სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების უფლებით შესაძლოა, არა ყველა რელიგიის, არამედ მხოლოდ მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა ისარგებლონ, დისკრიმინაციულია.

„თუ დაგვჭირდება, გამოვიყენებთ საკონსტიტუციოს, დაგვჭირდება, წავალთ სტრასბურგში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი დისკრიმინაციული კანონმდებლობა ამ ქვეყანაში არ იქნება. ნაცვლად იმისა, რომ აუქმებდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, ეს არის გასაკეთებელი სინამდვილეში, ხელისუფლება ცდილობს, ისედაც გამწარებულ რეალობაში ახალგაზრდებს კიდევ უფრო გაუმწაროს ცხოვრება. შანსი არაა, არ გამოუვათ. ჩვენ გადავარჩინეთ ათასობით ახალგაზრდა ოჯახი დანგრევას, ცხოვრების განადგურებას, კარიერის განადგურებას, სამსახურის დაკარგვას. პირველ რიგში, თავისუფლების ფასი დავანახეთ“, — განაცხადა **ზურაბ ჯაფარიძემ.**

ცხადია, რომ პოლიტიკურ გაერთიანებას აქვს უფლება, გააკეთოს ის, რასაც მას კანონი არ უკრძალავს და ადამიანებსაც აქვთ უფლება, გაწევრიანდნენ ნებისმიერ რელიგიურ ორგანიზაციაში, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში წვევამდელები „გირჩის“ რელიგიურ ორგანიზაციაში წევრდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ თავი აარიდონ სავალდებულო სამხედრო გაწვევას. ამის მიუხედავად კანონპროექტთან დაკავშირებით, შენიშვნები აქვს „სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელს ზურაბ აგლაძეს, რომლის აზრით, სესიაშვილის მიერ მომზადებული კანონპროექტი არის სრულიად დისკრიმინაციული.

მწვავე რეაგირება ექნება საერთაშორისო ორგანიზაციებსაც.

— შეიარაღებულ ძალებში რომ წავიდეს ადამიანი და რაღაცის დაცვა მოუნდეს, მას უნდა ჰქონდეს ამის კეთების სურვილი. მაგალითად, ძალით წავიყვანეთ ადამიანი, ვითომ რაღაცა ისწავლა, მაგრამ რომ დაიწყოს სამხედრო მოქმედება, რა გგონიათ, ახალგაზრდას, რომელსაც არ უნდა ქვეყნის დაცვა და არ აქვს ამის მოტივი, რამეს გააკეთებს? — არა, პირიქით, უფრო პრობლემური იქნება. ამიტომ, ასეთი კატეგორიის ადამიანებზე რომ არ დავხარჯოთ ფული, ვისაც სამშობლოს დაცვა არ უნდა, მოდით, ეს ფული დავხარჯოთ იმ ადამიანებზე, ვისაც უნდა სამშობლოს დაცვა, მათ შევუქმნათ კარგი პირობები და მათ გადავუხადოთ ხელფასი“, — ამბობს ზურაბ აგლაძე.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ამბობს, რომ სისტემა, რომელიც ახლა მოქმედებს, არ შეესაბამება იმ რეალობას, რაც საქართველოს შემთხვევაში არსებობს, რადგან არსებობს სავალდებულო სამხედრო გაწვევის სისტემა, თავისთავად უნდა მოხდეს მისი ჩარჩოში ჩასმა. კანონი კი არის დაწერილი, მაგრამ ის, რომ არამართლმადიდებელი მრევლი გაიწვევა, ხოლო მხოლოდ მართლმადიდებელი მრევლი არ გაიწვევა, ეს არის დისკრიმინაციული მიდგომა. ამაზე, ალბათ, იქნება მწვავე შეფასება დასავლეთის მხრიდან. ბუნებრივია, რომ ეს მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს.

ის, რომ „გირჩის“ ინიციატივა არის ამორალური, არაპატრიოტული, მოღალატური და არღვევს საქართველოს თავდაცვითუნარიანობის საკითხს, ეს გასაგებია, მაგრამ სესიაშვილის მიერ შემუშავებული კანონპროექტი ნაჯახურად არის გაკეთებული. აქ დარღვეულია თეოლოგიური საკითხები, ევროკავშირის ასოცირების წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან მოდის წინააღმდეგობაში. თუ წერ, რომ მარტო მართლმადიდებლებს გაანთავისუფლებ და სხვას არა, მაშინ სერიოზული არგუმენტები უნდა წარმოადგინო. რა დააშავეს სხვა რელიგიის მიმდევრებმა? შემოდის საბჭოთა „დედოვშინის“ ელემენტები, ეს რეალურად არის საფრთხე ნატოში ჩვენი გაწევრების, რაც ჩვენს თავდაცვისუნარიანობას ძირფესვიანად ანგრევს“, — ამბობს ვახტანგ მაისაია.

თამთა ძარჩავა

„ტაძარი სიტყვის, სიტყვის დედაბოძი“

ეთერ თათარაიძის ახალი პოეტური კრებულის წარდგინება მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე თავისთავადაც მომხიბლავი და სიხარულის მომგვრელი იქნებოდა, სხვა მხრივაც რომ შთამბეჭდავი არ ყოფილიყო.

სხვა მხრივ ანუ:

ლიტერატურული შეხვედრა სპექტაკლს რომ დაემსგავსებოდა.

სცენარის ავტორი და რეჟისორი – იოსებ ჭუმბურიძე.

მისთვის რომ გეკითხათ:

არც სცენარი დაუწერია წინასწარ და რეჟისურაზე ხომ არ უზრუნია და არა... და ყველაფერი იმპროვიზებულად წარიმართა, თვითონ ბატონი იოსები წამყვანის მოკრძალებულ როლს რომ უნდა დასჯერებოდა თითქოს, მაგრამ იმპროვიზებული იყო თუ რა იყო, სპექტაკლივით კი აეწყობოდა ყველაფერი თავიდან ბოლომდე და გასაკვირიც არ არის:

იოსებ ჭუმბურიძე ხომ არანაკლები თეატრალია, ვიდრე ჟურნალისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, შიგნიდან რომ იცნობს თეატრალურ სამყაროს – კულისებსაც ისევე ყოველმხრივ, როგორც ავანსცენას, არაერთი რეჟისორის შემოქმედებით თავისებურებასაც გულისგულამდე რომ წვდება და შესისხლხორცებული აქვს...

და ამ ყოველივეს ძალდაუტანებლად უნდა ეჩინა თავი:

მის ლიტერატურულ მონტაჟებშიც.

მის პიესებშიც.

და აგერ უკვე – მის საღამოებსა თუ დადგმებშიც.

ისედაც გამოიდებდა თავს ამ ლიტერატურული შეკრების მოსაწყობად, მაგრამ ამჯერად ბარემ ბოლომდეც უნდა მიჰყოლოდა ამ პოეტურ კრებულს – ჩასახვიდან თვალის ახელამდე ანუ მკითხველის ხელში მოხვედრამდე.

იდეა მისი იქნებოდა ეთერ თათარაიძის ამ ორიგინალური ლირიკული წიგნისა, პოეტურ მინიატიურებზე რომ აიგებოდა, ორ, სამ და ოთხსტრიქონიან ლექსებზე და სახელწოდებაც შესაფერისი გამოეძებნებოდა: „ორი, სამი, ოთხი“.

ურედაქტორებდა და შესავალი ესეითაც – **„გმადლობ, ჩემ ტკბილ უფალო...“** – დაამშვენებდა.

მხატვარსაც თვითონ შეარჩევდა: გიორგი წერეთელს – არა მარტო ერთ საუკეთესო ილუსტრატორს, არამედ ჩინებულ მკითხველსაც, რომლის ლიტერატურული გემოვნებაც კრიტიკოსებს შეეხარბებათ. თენგიზ მირზაშვილის მხატვრული გემოვნებისა არ იყოს? – ამ პოეტს ასე ერთგულად რომ ამოუდგებოდა მხარში.

და თვითონვე – პოეტთან შეუთანხმებლად და მხატვართან მოთათბირებით – გაიტანდა გარეკანზეც და ტიტულზეც არა გვარ-სახელს ავტორისა, არამედ მარტოდენ სახელს, ისიც იმ ფორმით, თუშეთში როგორც ეძახდნენ ბავშვობისას და შინაურობაში კვლავაც ასე იხსენიებენ: **ეთერო**.

კი მაგრამ... მშვენივრად რომ ესადაგება ერთმანეთს ეს გვარ-სახელი: ეთერ თათარაიძე რიტმულადაც და კეთილხმოვანებითაც?

თავისი მნიშვნელობა აქვს იმ კეთილხმოვანებასაც და თავისი მნიშვნელობა – ამ კეთილხმოვანებას: მარტოდენ სახელს – და კიდევ იმ რეალობის გათვალისწინებას, რომ: მკითხველის ცნობიერებაში იგი სწორედაც **ეთეროა** – თავისთავად რომ იხსენიება ხოლმე მხოლოდ სახელით.

და მაშ ეს თავისთავადობა „ოფიციალურადაც“ უნდა დადასტურებულიყო ადრე თუ გვიან.

იოსებ ჭუმბურიძე უკვე მიანიშნებდა მკითხველს ამ აუცილებლობას, როდესაც „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე – გაზეთისა, რომელიც ძალიან უდგას მხარში ლიტერატურულ პროცესებს – გამოაქვეყნებდა ესეის ამ სათაურით: **„ეთეროს ღუღუნი ილიას ეზოში“**.

გრძნობდა და იცოდა კიდეც, რომ ეს არავის გაუკვირდებოდა, არავის – ვისაც საქართველო, ილია და ქართული პოეზია გულწრფელად და უანგაროდ უყვარს და აღიარებს, რომ ეთერო უკვე კარგა ხანია, „ილიას ეზოს“ მკვიდრია.

ესეის სახელწოდება თავისებურ ლიტერატურულ ფორმულადაც გაისმოდა და მისი მნიშვნელობა არ გამორჩებოდა ელგუჯა მარღიას, ეპიგრაფად რომ წარუმძღვარებდა მართლაც შესანიშნავ რობაის:

ლექსებს ქსოვს, როგორც თუშის ქალი ლამაზ
ფარდაგებს,
ამ უჟამო ჟამს ხანმეტებით მოაბადაგებს...
ისე ღუღუნებს, გულში უზის ასი ქედანი,
რასაც უფალი ჩასჩურჩულებს, ლექსად ქადაგებს...

ამ ლიტერატურულ თავყრილობაზე ეს სტრიქონებიც გაისმოდა და ის ლექსიც მურმან ლებანიძისა – ეს უკვე ჩინებული მსახიობისა და გამორჩეული დეკლამატორის გიორგი კაჭახიძის წყალობით – დითირამბით რომ შეეგებებოდა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში ეთერ თათარაიძის შემოსვლას, შეადარებდა მგალობელ ჩიტს და მისი „გვირილების“ გარეშე ვეღარც წარმოიდგენდა ქართულ პოეზიას, რომლის უშრეტი ცეცხლისთვისაც გადაედო თავი თოვლზე ამოსული გვირილასავით უეცრად მოვლენილ ახალგაზრდა ქალს.

აღმტაც სტრიქონებში ერთადერთი ფრაზა უნდა გამორეულიყო, შენიშვნად თუ რჩევის გაზიარებად, რომ: პოეტს ეს ყვავილი თუშური სიტყვის ეთქვა უფრო ნათლად, ცოტა უფრო მთავარქართულად.

შესაძლოა, ოდნავ მართლაც ჭრიდა ყურს თუშურ დიალექტზე ამოზრდილი პოეტური ხილვები მურმან ლებანიძეს, მაგრამ მის იდუმალ მადლსა და ძალას გრძნობდა და მძაფრადაც გრძნობდა (აბა პანეგირიკად რატომ დაიღვრებოდა!), და ლექსში უთუოდ მოერიდებოდა ამ შენიშვნის გაზიარებას, მაგრამ ანგარიშს გაუწევდა კრიტიკოსთა თუ ლიტერატორთა იმ ჯგუფს, რომელნიც მრისხანედ აღიმართებოდნენ ეთერ თათარაიძის პოეტური მეტყველების ამ თავისებურების წინააღმდეგ და შეეცდებოდნენ პოეტის გადაკეთებას.

ვერ ითვალისწინებდნენ იმ ჭეშმარიტებას, რომ:

ნამდვილ შემოქმედს ვერ გადააკეთებ.

და ვერ ითვალისწინებდნენ იმ ჭეშმარიტებასაც, რომ:

შემოქმედი კი არ ირჩევს სტილს, არამედ სტილი ირჩევს შემოქმედს, რომელიც თავისი თავის, თავისი სულიერების წინააღმდეგ არც მოიმოქმედებს და ვერც მოიმოქმედებს ვერაფერს.

მით უმეტეს:

დიალექტის გამოყენება პოეტური აზროვნების საშენ მასალად საბჭოურ რეალობაში აღიქმებოდა ერესად თუ დანაშაულად, თორემ იტალიაშიც და საფრანგეთშიც მთელი ნაკადები არსებობდა დიალექტური პოეზიისა, და იქ მათ აკრძალვას კი არ მოითხოვდნენ, არამედ ამგვარი პოეტური მეტყველების შეცნობასა და შეთვისებას, მათი თავისებურების ახსნასა და მკითხველის სწორად დაკვალიანებას.

თქვენი მონა-მორჩილი უშუალოდ ამის თაობაზეც ილაპარაკებდა, სიტყვა როდესაც მოუწევდა, და კიდევ – გაჰყვებოდა ფრთოსანთა და მგალობელთა კვალს, იოსებ ჭუმბურიძის ესეიდან იმ აღმტაც შეფასებას რომ გაიმეორებდა, გამოწვეულს **ეთეროს** მრავლისდამტევი ორსტრიქონედით: **ჩიტო, შენაც გამომყევ, თუშეთ ერთად ვნახოთო...**

– ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ ერთადერთი სურვილი თუ გაგიჩნდება: მიხვიდე ჩიტთან (და არა ეთეროსთან!) და სთხოვო: იქნებ შენც გაგიყოლონ...

და ეთეროს მართლაც სულ სხვა ურთიერთობა რომ აქვს ჩიტებთან, ეს იდუმალი მადლი არაერთი ფურცლიდან ამოანათებს.

ჩემ ჩიტუნა’ მომძივდა?
გულყვითელო, მომენატრ!..

ან:

– ჩემ ჭრელ ჩიტო, ფთებს გიკოცნ,
– მე – აწეწილ დალალებს.

ანდა:

აი, კიდე გულმდუღვრით
ზისა-დ გალობს ჩიტ...

ან კიდევ:

მეყორნია’ ჩიტის გუნდმ
ლურჯ ცა გადახერხ...

ანდა ეს:

წეროებით ლურჯ ცაზე
სიყვარული მიწერილ...

ანდა კიდევ:

ჩიტად ნაქცევმ სიბუქად
„ცას წავალივ!“ – ვიძახ.

თვითონაც უნდა განიცადოს თავი ჩიტად და ცას დაექადნოს იქ განავარდებას, ცასწავალას ძახილიც უნდა მოესმას და ამ ძახილს აჰყვეს ცაში... და მაინც ყველაზე შემძვრელი, ყველაზე ინტიმური, ყველაზე უცნაური და მოულოდნელი ის ხილვა თუ სურათია, **ეთეროს** რომ უნდა მოვკრათ თვალი, თუ როგორ... ეჭორავება ჩიტს.

სწორედაც რომ ეჭორავება, თორემ ძახილი და საუბარი, გულისცემის განმეორება პოეტიდან ფრთოსანში და ფრთოსნიდან პოეტში თავისებურ რეფრენადაც გადასდევს ამ ლირიკულ კონასაც, რომელიც გაჟღენთილია ჭიკჭიკითაც და მელოდიურობითაც, თითქოს პარტიტურად გადაშლილაო.

მის მუსიკალურ ძარღვს, მის მუსიკალურ ქროლასა და ძალმოსილებას საგანგებოდ აღნიშნავდა **ანზორ ერქომაიშვილი,** ამ მხრივ – და საერთოდაც – გემოვნების კანონმდებელი **ვახუშტი კოტეტიშვილის** სიტყვებსაც რომ გაიხსენებდა, შემთხვევით შეხვედრილის, გამომცემლობაში რომ მიჰქონდა დედანი ეთეროს – მაშინ ჯერ კიდევ ეთერ თათარაიძის – პირველი პოეტური კრებულისა და ანზორს ეტყოდა:

– გადავშლიდი საქაღალდეს და ერთი-ორ ლექსს წაგიკითხავდი, მაგრამ მეშინია იქიდან ვარსკვლავები არ დაცვივდეს.

მას შემდეგ მოცვივა და მოცვივა ვარსკვლავები ეთეროს ლირიკული წიგნებიდან, და ვკრეფთ და ვკრეფთ, და ჩვენ-ჩვენს ფიქრებსაც მივადევნებთ, იმ საღამოს ამ ვარსკვლავთა ათინათს ასე სახიერად რომ გადაგვიშლიდნენ თვალწინ:

მაკა ჯოხაძე – ნიმუშად იმისა, თუ როგორ უნდა მსჯელობდეს და აფასებდეს მწერალი მწერალს.

და **მარინე ტურავა** – ნიმუშად იმისა, თუ როგორ უნდა მსჯელობდეს და აფასებდეს კრიტიკოსი მწერალს.

მახვილგონივრული დაკვირვებებით ახლებურად შეგვახედებდნენ ეთეროს პოეზიის ცალკეულ მხარეებსა თუ ნიუანსებს, აქამდე შეუმჩნეველს ანდა ნაკლებ წარმოჩენილს, და გვაზიარებდნენ იმ მადლს, რაც არ უნდა იყოს მარტოდენ ჩვენთვის საცნაური და აუცილებლად უნდა გააღწიოს ქართული სივრცის გარეთაც – არა შემთხვევიდან შემთხვევამდე განხორციელებულ ცდებად, არამედ მიზანმიმართულ მომზადებად ეთეროს პოეტური სიტყვის გარდასათქმელად არაერთ ენაზე.

ნურავინ დაიჯერებს იმ დაყრილ ხმებს, თითქოს **ეთეროს** ლექსები მხოლოდ ჩვენი კუთვნილება უნდა იყოს, რადგანაც თარგმნით არ ითარგმნება.

ის ცალკეული ცდები ამ პოეზიის ამეტყველებისა სხვა ენებზე თვალნათლივ ადასტურებს, უცხოელი მკითხველიც ძალდაუტანებლად რომ შეითვისებს ამ ლირიკის მადლს, და სულაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც რომელიმე იქაურ დიალექტზე გადაიღონ. სტილიზებული მანერა შეუნარჩუნებს ამ ლექსს გარეგნულ თავისებურებასაც, თორემ ნამდვილ პოეტურ ძალასა და შთამბეჭდაობას ხომ განაცდევინებთ და განაცდევინებთ.

ეთეროს ლექსის მელოდიურობა და მუსიკალურობა ამ დღესაც ასე ხელშესახები უნდა გამხდარიყო ყველასთვის, თვით მათთვისაც, პირველად რომ მიეახლნენ ამ მხატვრულ სამყაროს, თვითონ პოეტი რომ წაიკითხავდა ცალკეულ ნიმუშებს და... სიმფონიად მოგვასმენინებდა, ანზორ ერქომაიშვილის მიგნების საუკეთესო თვალსაჩინოებად.

ხოლო რაკიღა სპექტაკლის შემსწრეებს გაგვხდიდა იმ საღამოს იოსებ ჭუმბურიძე, მუსიკალურ გაფორმებად ეთეროს დეკლამაციას უნდა შემოშველებოდა გარმონზე აჟღერებული თუშური მელოდიები, ლელა თათარაიძის მადლჩაღვრილი.

* * *

თქვი უფრო ნათლად, ცოტა უფრო მთავარქართულადო...

მისთვისაც ძვირფასი პოეტის ამ საყვედურნარევ მოსაზრებას უთუოდ უნდა გამოკამათებოდა იოსებ ჭუმბურიძე:

იქნებ სწორედ ის უფროა მთავარქართული, **ეთერო** რომ დაჟინებით გვახსენებს და გვინარჩუნებსო.

ეგებ მართლაც ღირდეს ამ მიმართულებითაც დაფიქრება?..

ვაჟა-ფშაველას გაოგნებისა და გულისტკივილისა არ იყოს:

ფშაველს ქართულს მასწავლიანო!..

ეთეროს კი ეს პასუხი აქვს ყველასთვის, მისი სტილური მანერა – მხოლოდ გარეგნული აღქმით – რომელთაც ეხამუშებათ, პასუხი არა მარტო დამაჯერებელი, არამედ ლამაზიც, რადგანაც ლექსადაა ჩამოსხმული:

გმადლობ ჩემ ტკბილ უფალო,
სიტყვა საკურნელად მბოძ,
ქართულ სიტყვის ტაძარ მიგ,
თუშურისა – დედაბოძ...

როსტომ ჩხეიძე



„დრის ჯრ ოყჯრს, ოცა ოუფჭდ ნჯრჭჯვენ“



ასე ამბობდა ჰენრი ფორდი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

სხვადასხვაზე

აზრები მომავალზე, მუდმივი ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოვახელკეთილოთ, რაც შეიძლება მეტი, გონების ისეთ მდგომარეობას წარმოქმნიან, რომლის დროსაც არცრა შეუძლებლად არ მიგაჩნია.

* * *

ძალაუფლება და ტექნიკა, ფული და საქონელი მხოლოდ იმდენად არის ფასეული და სასარგებლო, რამდენადაც ისინი თავისუფლებას სძღვნიან ადამიანს.

* * *

არა, ჩვენ ტრადიციები არ გვინდა, ჩვენ აწმყოთი გვინდა ცხოვრება, და ერთადერთი ისტორია, რომლის ყურადღების მიქცევაც ღირს, ის ისტორიაა, რომელსაც ჩვენ დღეს ვქმნით.

* * *

სუყოველი რადიკალური გარდაქმნის პრობლემა ის არის, რომ იმ გარდაქმნას ადამიანის გადაკეთება უნდა, რათა იმან შეძლოს დამუშავებული საქონლის გამოყენება.

* * *

რეაქციონერს გარდასულ მდგომარეობაში დაბრუნება სწადს, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ის უკეთესი იყო, არამედ იმიტომ, რომ თავისი ფიქრით, გარდასულზე რაღაც ბევრად მეტი იცის.

* * *

დაბრკოლება დამაფრთხობელი რამ არის, რომელიც მაშინ ჩნდება, როცა თქვენს მიზანს აღარ უცქერით.

* * *

მარცხის წინაშე თვინიერება შიშს აჩენს. წარუმატებლობის მორჩილების ჩვეულება მყარად იკიდებს ფეხს ადამიანებში, რომელთაც შორსმხედველობა და წარმოსახვა აკლიათ. ისინი ქმნიან გეგმებს ანი-დან ჰაე-მდე, ყველაფერს რომ მოიცავს. ან-ზე ხელი ეცარებათ, ბან-ზე ფეხი უსხლტებათ, ხოლო ვინ-ზე ისეთ რასმე აწყდებიან, რაც გადაულახავ დაბრკოლებად ეჩვენებათ. ამის შემდგომ ისინი უკან იხევენ და იარაღს ყრიან, თავიანთ წამოწყებას ანაყიშებენ, შუაგზაზე ჩერდებიან, იმის დროსაც კი ვერ პოულობენ, რომ ნამდვილად შეცდნენ, ოცნებისთვის ერთხელაც კი არ მიუციათ დასტურ ახდენის თუ არახდენის ნება. უბრალოდ, ყოველგვარი წამოწყებისგან განუყოფელ არაერთ სირთულეს დააძლევინეს საკუთარი თავი. ამქვეყნად დანებებული ხალხი მეტია, ვიდრე დამარცხებული.

* * *

თუკი ტრადიცია რამ გვაქვს, ისიც მხოლოდ ერთი: „ყველაფრის გაკეთება შეიძლება უკეთესად, ვიდრე აქამდე კეთდებოდა“.

* * *

მომავლისა ნუ გეშინია და ნუ ეთაყვანები წარსულს, ვისაც მომავლისა და შესაძლო წარუმატებლობის შიში აქვს, ის თავისივე ხელებით ავიწროვებს თავისი მოღვაწეობის წრეს. წარუმატებლობა მხოლოდ იმის საბაბია, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყო და ბევრად უფრო გონივრულად იმოქმედო. წარუმატებლობა სამარცხვინო არ არის, სამარცხვინოა წარუმატებლობის შიში. წარსული მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როცა განვითარების სახსარსა და გზას გვიჩვენებს.

* * *

თუკი თაღლითებსა და საბანკო ანგარიშებით თამაშის მოყვარულთ ბანკირის წოდებასა და იმ ძალაუფლებას ჩამოართმევდნენ, რომელ ძალაუფლებასაც ის წოდება ანიჭებთ, საბანკო საქმე კვლავ დაიჭერდა საზოგადოებრივ სამსახურში შესაფერის ადგილს და ადამიანები გადაურჩებოდნენ თანამედროვე ფულადი სისტემისა და საფინანსო მეთოდთა უსამართლობას.

* * *

სულაც ცუდი არ არის ბრიყვად ყოფნა სამართლიანობის გულისთვის. ასეთი ბრიყვები საკმაოდ დიდხანს ცოცხლობენ, რათა დაამტკიცონ, რომ სულაც ბრიყვნი არ არიან, ანდა იმათგან დაწყებული საქმე რომ კვლავაც განაგრძობს სიცოცხლეს.

* * *

ჰაერი სავსეა იდეებით. ისინი ნიადაგ გიკაკუნებენ თავში. თქვენ უბრალოდ უნდა იცოდეთ, რა გინდათ, მერე იგულმავიწყოთ ეს და თქვენს საქმეს მოჰკიდოთ ხელი. იდეა უეცრად გაჩნდება. ასე იყო მუდამ.

* * *

სისულელეა იმის მოლოდინი, რომ თუ ყველაფერს ყირამალა დავაყენებთ, თითოეული ერთბაშად ირგუნებს ნამცხვრის თავის დიდ წილს.

* * *

მე ეს მინდა, მაშასადამე, რახან მინდა, იქნება კიდეც.

* * *

სტანდარტების დადგენისას ნელა გვიხდება მუშაობა, რამეთუ ბევრად ადვილია არასწორი, ვიდრე სწორი სტანდარტის დადგენა.

* * *

დიდი პრობლემები არ არის, არის ბევრი პატარ-პატარა პრობლემა.

* * *

უტყუარი სისადავე დაკავშირებულია პრაქტიკულობასთან და მიზანშეწონილობასთან.

* * *

თუ სოფლის მეურნეობას მისდევ და მცირე შემოსავლიანობას თავს ვერ აღწევ, ამის მიზეზია პროცესებისა და პროფესიის არსის, აგრეთვე ამ პროფესიის ორგანიზების საუკეთესო ფორმათა არასაკმარისი ცოდნა.

* * *

უნდა ავიღოთ ისეთი რამ, თავის გამოსადეგობას რომ ამტკიცებს და მოვაცილოთ, რაც კი ზედმეტია მასში.

* * *

არცთუ იშვიათად წოდებულება განმასხვავებელი ნიშანია ამგვარწარწერიანი: „ამის მფლობელი ვალდებული არ არის, რომ სხვა რამ საქმით დაკავდეს – მან ნიადაგ საკუთარი თავის მნიშვნელობასა და გარშემო მყოფთა არარაობაზე უნდა იფიქროს“.

* * *

ჩემი მიზანია სისადავე. საერთოდ, ადამიანებს იმიტომ აქვთ აგრერიგად ცოტა და ძირითადი საარსებო მოთხოვნილებანი (აღარაფერს ვამბობ უკვე ფუფუნებაზე, რომლის აღიარებული უფლებაც, ჩემი აზრით, თითოეულსა აქვს) იმიტომ უჭდებათ აგრერიგად ძვირი, რაკი თითქმის ყველაფერი, რასაც ვაწარმოებთ, ბევრად უფრო რთულია, ვიდრე საჭირო. ჩვენი ტანისამოსი, საცხოვრებელი ბინა თუ ავეჯეულობა შეიძლებოდა რომ ბევრად უფრო სადა და ბევრად უფრო ლამაზი ყოფილიყო.



* * *

არა, არც ერთ კარგ იდეას არ უგულებელვყოფ, მაგრამ თავს ვარიდებ ეგრევე დაუყოვნებლივ გადაწყვეტას, მართლა კარგია თუ არა სინამდვილეში.

* * *

რაც უფრო მეტს მივიწევთ წინ, მით უფრო მეტს ვიგებთ, თუ რისი შემძლენი ვართ.

* * *

რასაც არ უნდა ფლობდე, ან იყენებ, ანდა კარგავ!

* * *

ის დღე, როცა სოფლის წისქვილებმა არსებობა შეწყვიტეს, ცუდი დღე იყო.

* * *

დიდი ქალაქი უბედური უმწეო ურჩხულია, რასაც ის იყენებს, ყველაფერი უნდა მიართვა.

* * *

თავისუფლება იმის უფლებაა, რომ დროის გონივრული ოდენობა იმუშაო და შენი შრომისთვის შესაბამისი გასამრჯელო მიიღო ცხოვრების გვარიანი დონის უზრუნველსაყოფად.

* * *

თუ გატაცებული ხარ, ყველაფრის მიღწევა შეგიძლია. გატაცება თქვენი თვალების ბრწყინვაა, სიარულის სისწრაფეა, ხელის ჩამორთმევის სიმტკიცეა, დაუძლეველი გაენერგიანებაა და ცხოვრებაში თქვენი იდეების განხორციელების ნებაა. საქმით გატაცებულნი მებრძოლნი არიან. გატაცება ყოველგვარი პროგრესის ქვაკუთხედია! წარმატება მხოლოდ გატაცებას მოსდევს. უიმისოდ მარტოოდენ შესაძლებლობა გაქვთ.

* * *

შეიძლება რომ ქვეყანას წინსვლის საშუალება არ მისცე, მაგრამ ამასთანავე გადაგვარებისგან ვერ იხსნი.

* * *

ისტორია მეტად თუ ნაკლებად ლაყბობაა.

* * *

როცა მოვლენებს თავად ვერ ვმართავ, თვითონ მოვლენებს ვამართვინებ თავიანთ თავს.

* * *

თუ ნაღდი ფულის უქონლობის გამო კაცი იძულებულია, რომ სესხით დაიწყოს ყიდვა, იმას ვაჭრობის თავი არა აქვს.

* * *

ჩვენი აზრით, ეგრეთ წოდებული ფილანთროპია თავმომწონეობის საგანგებო რამ მდარე ფორმაა, მდარე იმიტომ, რომ შეწევნის პრეტენზია კი აქვს, მაგრამ ფილანთროპიას სინამდვილეში ვნება მოაქვს.

* * *

ფილანთროპს კმაყოფილება იაფი უჯდება იმის გამო, რაკი დანარჩენთ ის მადლცხებულ და კეთილშობილ ადამიანად მიაჩნიათ.

* * *

არასოდეს ფეხზე არა ვდგავარ, თუკი დაჯდომის საშუალება მაქვს და არასოდეს ვზივარ, თუ დაწოლას არავინ არ მიშლის.

* * *

პარგი მეგობარი ის არის, ვინც მაუკეთესებს.

* * *

ფილანთროპია ოდენ ფარავს ბოროტებას, რომლის ჩამოცილებაც შეიძლება და უნდა ჩამოვიცილოთ.

* * *

ჩემი ცხოვრების განვლას ისე ვცდილობდი, როგორც ეს დედაჩემს ენდომებოდა.

* * *

წარუმატებლობა შიშს, გულარხეინობას, განებივრებასა და დაუდევრობას ეშედეგება. შიშის დაძლევა გულდაჯერებულობასა და დოვლათს ქმნის.

* * *

აღსდექით და შეიარაღდით, მიუშვით, სუსტნი იყვნენ მოწყალების იმედად!

* * *

სუყოველი საგანი გვიყვება თავის თავგადასავალს, თუკი იცი, როგორ უნდა წაიკითხო ის მონაყოლი.

(დასასრული მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №52-58

ᲧᲘᲠᲘᲛᲨᲘ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡᲐᲛ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ

„ᲩᲕᲔᲜ ყველამ ერთად გამუდმებით უნდა უარვყოთ რუსეთის მიერ გავრცელებული სიცრუეები იმის შესახებ, თუ რა ხდება ყირიმში ან დონბასში ან თავად რუსეთში და გავიმეოროთ და ხაზი გავუსვათ სიმართლეს. 5 წლის შემდეგ რუსეთი კვლავ დე ფაქტო აკონტროლებს უკრაინის ტერიტორიის 7%-ს ისევე, როგორც საქართველოს ტერიტორიის 20%-ს 2008 წლიდან“, — განაცხადა „ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტში“ ანექსიის 5 წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო დისკუსიაზე ჯორჯ კენტმა, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ. „ყირიმი არის უკრაინის ნაწილი და უნდა დაბრუნდეს უკრაინის კონტროლის ქვეშ. ამერიკის პოზიცია უცვლელია“, — თქვა კენტმა.

კრემლის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ არ დასრულებულა 2008 წლის შემდეგ. შიდა სადემარკაციო ხაზი ცხინვალის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის თანდათან იწევს საქართველოს მხარეს. საქართველოს მოქალაქეებს რუსი ჯარისკაცები აკავებენ, უხეშად ეპყრობიან და კლავენ კიდეც. ეს არის საშიში და სერიოზული საკითხი.

ჯონ ჰერბსტი, „ატლანტიკური საბჭო“ — სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განმარტებით, მსგავს ტაქტიკას რუსეთი ევროპის სხვა ნაწილებშიც, ბალტიისპირეთიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულამდე, სხვაგანაც იყენებს და ამჟამინდელი პრეზიდენტი „ცარისტულ“ პოლიტიკას ატარებს და საერთაშორისო ნორმების დარღვევითა და მეზობელი ქვეყნების სურვილების უგულვებელყოფით ცდილობს, მისი რწმენით, „რუსული მიწების“ მიტაცებას.

„ის, რასაც დასავლელი ექსპერტები ჰიბრიდულ ომს უწოდებენ, უკრაინაში ინსტრუმენტების ფართო სპექტრით გამოვლინდა. იყო ჩვეულებრივი ომი, შეიარაღებული სპეცდანაყოფები, მკვლელობები, კიბერ-თავდასხმები, დეზინფორმაცია, ენერგიის იარაღად გამოყენება თუ სხვა ტრადიციული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ დიპლომატიური წნეხის საშუალებები“, — ამბობს კენტი.

„ატლანტიკური საბჭოს“ ევრაზიის ცენტრის დირექტორი და ამერიკის ყოფილი ელჩი უკრაინასა და უზბეკეთში ჯონ ჰერბსტი უკრაინის კონტექსტში საქართველოზეც საუბრობს და ამბობს, რომ „მცოცავი ოკუპაცია“ კრემლის მიერ წარმოებული აგრესიული პოლიტიკის ნაწილია.

„კრემლის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ არ დასრულებულა 2008 წლის შემდეგ. შიდა სადემარკაციო ხაზი ცხინვალის რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის თანდათან იწევს საქართველოს მხარეს. საქართველოს მოქალაქეებს რუსი ჯარისკაცები აკავებენ, უხეშად ეპყრობიან და კლავენ კიდეც. ეს არის საშიში და სერიოზული საკითხი, რომელსაც სამწუხაროდ, დასავლეთი საკმარის ყურადღებას არ აქცევს. ვისურვებდი საქართველოს წინააღმდეგ უწყვეტი აგრესიის გამო რუსეთისთვის სანქციების დაწესებაც, მაგრამ ეს პოლიტიკურად ძნელი წარმოსადგენია“, — ამბობს ჰერბსტი.

ყოფილ დიპლომატს მიაჩნია, რომ უკრაინასა და საქართველოში რუსეთის ქმედებები კრემლის იმპერიალისტური, რევიზიონისტული პოლიტიკის ნაწილია, რომელიც იქ არ მთავრდება. მისი თქმით, სწორედ ამიტომაა საჭირო და მნიშვნელოვანი რუსეთის შეჩერება ახლა, რომ იგივე არ განმეორდეს სხვაგანაც, ევროპაში. ამერიკის სახელმწიფო მდივნის ყოფილი მეორე მოადგილე და ამჟამად „სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის“ უფროსი, ვიცე-პრეზიდენტი ჰედერ კონლი ამბობს, რომ უნდა გვახსოვდეს, რომ სანამ რუსეთი ყირიმის ანექსიას მოახდენდა, „ევროპიდან ისმოდა ხმები, რომელსაც ყურადღება არ მიაქციეს“.

„ეს იყო უკვე გარკვეული მახასიათებელი, ნიმუში, რომელიც ვნახეთ, როდესაც 1999 წელს რუსეთის ჯარებმა არ დატოვეს დნესტრისპირეთი მოლდოვაში. შემდეგ ეს გადაიზარდა საქართველო-რუსეთის კრიზისში 2008 წელს. ახლა კი გვქონდა ყველაზე დამანგრეველი შედეგები უკრაინაში“, — ამბობს კონლი. ის განმარტავს, რომ დასავლეთი, რომელიც კონფლიქტის მშვიდობიანი, დიპლომატიური გზებით გადაწყვეტას ცდილობს, ხშირად წარუმატებელია რუსეთთან ამ პროცესში, რადგან დიპლომატიური პროცესების ნაწილი მხოლოდ ცრუ შეგრძნებას აჩენს იმისა, რომ პროგრესი არსებობს.

„გამოწვევა ისაა, რომ კრემლს ესმის“ ჩვენ არ გვჭირდება კონფრონტაცია. ის ამ დროს „გვეხმარება“ იმით, რომ გვაწვდის დიპლომატიურ ჩიხებს, რომლებიც შეუძლებელია, გადაიჭრას. მოლდოვაში ესაა „5+2“ პროცესი, საქართველოსთვის ჟენევის პროცესი, უკრაინისთვის მინსკის პროცესი. ისინი შექმნილია იმისთვის, რომ (პროცესი) არსაით წავიდეს. ასე რომ მცოცავი ოკუპაცია, საზღვრების გადმოწევა, ცეცხლის შეწყვეტის დარღვევა გრძელდება. ეს ყველაფერი შექმნილია იმისთვის, რომ დაგვავიწყდეს (რაც მოხდა), მივიღოთ. ტრანსატლანტიკური პასუხი იყო იმდენად კარგი, რამდენადაც შეგვეძლო, მაგრამ არ იყო საკმარისი“, — ამბობს ჰედერ კონლი.

ვიქტორია ნულანდი, რომელიც ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის მოადგილე იყო 2013-2017 წლებში, ამბობს, რომ ყირიმის ანექსია ხანგრძლივი სამხედრო და პოლიტიკური გეგმის ნაწილი იყო, რომელიც ჯერ ფიზიკურად განხორციელდა და რომლის პოლიტიკური ლეგიტიმაციაც სცადა შემდეგ კრემლმა. ნულანდის თქმით, ყირიმის მოვლენებისას თავდაპირველი ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ დასავლეთს და მსოფლიო ლიდერებს ეს ქმედება დაეგმოთ და ყველასთვის ნათელი გამხდარიყო, რომ თუკი ერთ ქვეყანას მიეცემა უფლება, „მოკბიჩოს“ მეზობელი ქვეყნის ნაწილი, ეს შეიძლება ნებისმიერ სხვა ადგილას განმეორდეს. შემდეგ კი უკვე სანქციების მიზანი ის იყო, რომ კრემლისთვის ყირიმის მიერთება „ძვირი“ ყოფილიყო: „ყოფილიყო გარანტია, რომ თუკი სხვა ქვეყნის მიწის ნაწილს მოკბეჩ, ის პირში გამოგიშრება“.

„რუსეთმა არალეგალურად მიიტაცა ყირიმი, იმ საერთაშორისო პრინციპის ურცხვი უგულებელყოფით, რომელიც ამბობს, რომ არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, ძალადობრივად შეცვალოს სხვა ქვეყნის საზღვრები. ლუგანსკსა და დონეცკში ადმინისტრაციული შენობები რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს და არა მეტრაქტორეებმა ან მაღაროელებმა. რუსეთს ახლაც პატიმრობაში ჰყავს 70-მდე პოლიტიკური პატიმარი ყირიმში, რომელთა უმეტესობა ყირიმელი თათარია. მათი ნაწილი რუსეთის საპატიმროებშია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ მოვლენებს 13 ათასამდე ადამიანი შეეწირა. ყირიმსა და დონბასში ბოლო 5 წლის მანძილზე რუსეთმა შეასუსტა რეგიონული სტაბილურობა, უგულებელყო საერთაშორისო ნორმები და თაობების განმავლობაში ევროპის უდიდესი ჰუმანიტარული კრიზისი და ადამიანის უფლებების დარღვევა გამოიწვია“, — ამბობს ჯორჯ კენტი.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, ამერიკა განაგრძობს უკრაინის დახმარებასა და მხარდაჭერას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მდგრადობის გასაზრდელად, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამასობაში უკრაინამაც ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ გააძლიეროს თავის დემოკრატია. **„საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც თვის ბოლოს იმართება, უმნიშვნელოვანესი ტესტი იქნება მისი დემოკრატიული პროცესისთვის. არჩევნები უნდა იყოს თავისუფალი და მიუკერძოებელი. სამოქალაქო საზოგადოების, კამპანიის წევრებისა და მედიის შევიწროვება ამ ეტაპზე აღარ უნდა განმეორდეს“,** — ამბობს ჯორჯ კენტი.

ორშაბათს ვლადიმირ პუტინი სიმფეროპოლში, ყირიმის ყველაზე დიდ ქალაქში ჩავიდა, რათა ნახევარკუნძულის ანექსიის 5 წლისთავის აღსანიშნავ კონცერტზე სიტყვით გამოსულიყო. 4-დღიანი ღონისძიებებში როკ-ბენდები, კრემლის მომხრე რეპერები და, რა თქმა უნდა, „ღამის მგლები“ — კრემლის მომხრე ცნობილი მოტოციკლისტთა ჯგუფი მონაწილეობდნენ.

კრემლი ამტკიცებს, რომ ყირიმელები შინ, რუსეთში დაბრუნდნენ, რომ რუსეთმა ნახევარკუნძულის განვითარებაში 13 მილიარდ ევროზე მეტი დოლარი დახარჯა და მოსახლეობა ცვლილებებით ბედნიერია. თუმცა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები ჩატარებული რეფერენდუმის არალეგიტიმურობაზე და უკანონობაზე საუბრობენ. ასევე დიდ გამოწვევად რჩება ადამიანების, განსაკუთრებით კი ყირიმელი თათრების, უფლებების მასობრივი დარღვევების შემთხვევები, რაშიც აქტივისტებისა და მოწინააღმდეგეების დაპატიმრება და რუსეთის ციხეებში გაგზავნა, გატაცებები, მკვლელობები და სხვა მსგავსი დანაშაულები შედის.

25 ნოემბერს ნახევარკუნძულის სანაპიროებთან, ქერჩის სრუტესთან რუსულმა მხარემ უკრაინულ გემებსა და სამხედროებს ცეცხლი გაუხსნა. უკრაინული ხომალდები ოდესის პორტიდან აზოვის ზღვის პორტ მარიუპოლისკენ მიემართებოდნენ. რუსეთის სასაზღვრო სადარაჯო ხომალდის შეჯახების მერე, რუსულმა მხარემ გემები და უკრიანელი მეზღვაურები დააკავა და შეერთებული შტატების, დასავლელი ლიდერებისა და უფლებადამცველების მოწოდებების მიუხედავად, ამ დრომდე არ გაუთავისუფლებია.

ქერჩის სრუტე ერთადერთი დამაკავშირებელი დერეფანია შავ და აზოვის ზღვებს შორის. ექსპერტების აზრით, ეს ინციდენტი მხოლოდ იმ პრაქტიკის გაგრძელება იყო, რომელიც გასულ წელს უკვე აშკარა იყო — რუსეთი ცდილობდა, უკრიანული და საერთაშორისო გემებისთვის ნაოსნობა შეეზღუდა. თუკი მანამდე ეს გართულებული შემოწმებებით და ინსპექციით ხდებოდა, შემდეგ ეს უკვე სამხედრო აგრესიაში გადაიზარდა. გასული კვირის ბოლოს ამერიკამ, კანადამ და ევროკავშირმა სწორედ ამ ინციდენტთან დაკავშირებით რუსეთს დამატებითი სანქციები დაუწესა. ანალიტიკოსები სანქციებს მიესალმებიან, თუმცა ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ ამ ზომის მიღება დაგვიანებულია არათუ ნოემბრიდან დღემდე, არამედ იმიტომაც, რომ სასურველი იქნებოდა დასავლეთს ერთობლივი წნეხი წლების წინაც განეხორციელებინა.

ᲔᲙᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲓᲐᲫᲔ

ᲛᲘᲣᲚᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲛ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲡ, ᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ



ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ **პროკურორის რობერტ მიულერის გამოძიებამ, აშშ-ის პრეზიდენტს დონალდ ტრამპს, მის საარჩევნო კამპანიის წარმომადგენლებსა და რუსეთს შორის კავშირები ვერ აღმოაჩინა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას. ცოტა ხნის წინ სპეციალურმა პროკურორმა რობერტ მიულერმა დაასრულა გამოძიება 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევის შესახებ.**

მიულერის დასკვნა გადაეგზავნა აშშ-ის გენერალურ პროკურორს უილიამ ბარს, რომელმაც, თავის მხრივ, დასკვნის ძირითადი მიგნებების შესახებ შემაჯამებელი ანგარიში კონგრესს გადაუგზავნა. იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც ამ ეტაპზე ცნობილია, როგორც ირკვევა, მიულერის გამოძიებამ აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპს, მისი საარჩევნო კამპანიის წარმომადგენლებს და რუსეთს შორის გარიგების ნიშნები ვერ აღმოაჩინა, თუმცა არის საკითხები, რომელიც ყურადღების მიპყრობას იმსახურებენ.

„აბესალომ და ეთერი“ – 100

ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ დადგმიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ოფისში მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის, ცნობილი ფერმერის **ვანო ნატროშვილის** პატრონაჟით და დედოფლისწყაროს მერის **ნიკოლოზ ჯანიაშვილის** მხარდაჭერით. საღამოს მწიგნობართა ასოციაციის წევრების გარდა ესწრებოდნენ ქალაქ დედოფლისწყაროს ინტელიგენციის წარმომადგენლები, მედიცინის, კულტურის და განათლების მუშაკები, დედოფლისწყაროს მერის პირველი მოადგილე **დათო ფხოველიშვილი** და რაიონის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი **ილია მარტყოფლიშვილი**.

მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ **ნანა ჭიჭინაძემ** ვრცლად ისაუბრა ზაქარია ფალიაშვილის მიერ დადგმული ოპერის „აბესალომ და ეთერის“ შესახებ. მან აღნიშნა, რომ 21 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პრემიერიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ოპერის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი, სოლისტები: **ლიანა კალმახელიძე, მაყვალა ასპანიძე, აბესალომის და მურმანის პარტიის ბრწყინვალე შემსრულებლები თემურ გუგუშვილი, ელდარ გეწაძე, სულხან გველესიანი** და სხვები. მათ სიტყვით მიმართეს დამსწრე საზოგადოებას. ბატონმა **ელდარ გეწაძემ** აღნიშნა, რომ პოეზიაში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არის შედევრი, საოპერო სამყაროში კი „აბესალომ და ეთერიო“...

კონცერტის დირიჟორი გახლდათ დიდი მაესტრო **ზაზა აზმაიფარაშვილი**.

მწიგნობართა ასოციაციის წევრმა, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა **ნანული ნატროშვილმა** გაიხსენა, რომ მას პირადად ჰქონდა მოსმენილი აბესალომ და ეთერის პარტიები ზურაბ ანჯაფარიძის, მედეა ამირანაშვილის, ალეკო ხომერიკის, მაია თომაძის შესრულებით. ასევე 2016 წლის დადგმა გიზო ჟორდანიას რეჟისორობით.

საღამოს დასასრულს ნაჩვენები იყო რეჟისორ ლეო ესაკიას მიერ 1966 წელს გადაღებული ფილმი-ოპერა „აბესალომ და ეთერი“, სადაც აბესალომის პარტიას ახმოვანებს **ზურაბ ანჯაფარიძე,** აბესალომის როლს კი ბრწყინვალედ ასრულებს მსახიობი **აჩიკო მეტონიძე,** ეთერის პარტიას ახმოვანებს **მედეა ამირანაშვილი,** ხოლო ეთერის როლს ასრულებს უმშვენიერესი **დალი თუშიშვილი**.

საღამოს სპეციალური მოწვევით ესწრებოდა დედაქალაქიდან **მარინა მაჭავარიანი,** დიდი ქართველი საოპერო მომღერლის, აბესალომის პარტიის უბადლო შემსრულებლის ზურაბ ანჯაფარიძის მეუღლე, რომელიც სათუთად უფრთხილდება საყვარელი მეუღლის ხსოვნას და წარმატებით ხელმძღვანელობს მის ფონდს. საღამოს სპონსორი გახლდათ **ზეინალ მოდებაძე**.

მარიკა პოპიაშვილი,
დედოფლისწყარო

ფიროსმანი – მარტოხელა მხატვრის სამყარო

ტალინის მიკკელის მუზეუმში გამოჩენილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა – „ფიროსმანი – მარტოხელა გენიოსის სამყარო“ გაიხსნა. გამოფენა ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ინიციატივითა და დახმარებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ესტონეთის ხელოვნების მუზეუმის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ნამუშევრების უმეტესობა ეკუთვნის მირზაანის მუზეუმის მუდმივ კოლექციას და ისინი ერთიან კოლექციად პირველად გამოიფინა საზღვარგარეთ. გარდა ამისა, ტალინში ასევე გამოფენილია 1972 წელს პარიზში პაბლო პიკასოს მიერ შექმნილი ფიროსმანის გრაფიკული პორტრეტი და ფიროსმანის 3 ფერწერული ტილო საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან.

ღონისძიებაზე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თეა ახვლედიანმა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ, ამავე სააგენტოს სამუზეუმო მიმართულების კურატორმა ირმა დოლიძემ, ესტონეთის ხელოვნების მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა სირიე ჰელმემ და მიკკელის მუზეუმის დირექტორმა ალექსანდრა მურრემ.

თეა ახვლედიანმა ისაუბრა ქართული ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე და ხაზი გაუსვა გენიალური ქართველი მხატვრის მოღვაწეობის მნიშვნელოვან ასპექტებს. თეა ახვლედიანმა ყურადღება გაამახვილა ტალინში ცნობილი ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენის ინიციატივაზე მუშაობის 2-წლიან პროცესზე, ესტონეთში მისი ორგანიზების მნიშვნელობაზე და იმედი გამოხატა, რომ ფიროსმანის გამოფენა ხელს შეუწყობს ხალხთა შორის მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავებას და საქართველო-ესტონეთის ურთიერთობების შემდგომ განვითარებას. მან განაცხადა, რომ ესტონელი ხალხის ერთგული მეგობრობა, გულწრფელი სოლიდარობა და მტკიცე მხარდაჭერა, მათ შორის გამოხატული საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმეს დღეებში მუდმივად დარჩება ქართველთა მეხსიერებაში.

გამოფენის ფარგლებში, მიკკელის მუზეუმში გაიმართა ნიკო ფიროსმანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი შემეცნებით-საგანმანათლებლო გაკვეთილები ბავშვებისა და მოზარდებისთვის. გაკვეთილები ინგლისურ (ესტონური თარგმანით) და რუსულ ენებზე ჩაატარეს საგანგებოდ ამ ღონისძიებისათვის საქართველოდან მოწვეულმა პედაგოგებმა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან.

გამოფენა მიკკელის მუზეუმში 2019 წლის 11 აგვისტომდე იქნება წარმოდგენილი.

ღნა

სრულიად სერიოზულად...

ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ, რადგან თოქშოუებს, ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ – ტვინში რომ „გიტოკებს“ ისეთ მატრაბაზობებს ვერ ვიტან. როგორც ყველა ქართველს, ძილი მიყვარს, უფრო – სიზმრების სანახავად. განსაკუთრებით ის მომწონს, ამ ღამის ხილვების მთავარი მოქმედი გმირი მე რომ ვარ.

ამას წინათ საოცარი რამ მესიზმრა: გზად თეთრ ცხენზე ამხედრებული ბრგე მხედარი შემომეფეთა რამდენიმე „ტელოხრანიტელის“ თანხლებით.

– სად იმალებოდი, რამდენი ხანია, გეძებ, – მითხრა უცნობმა ისე, რომ არც ჩამოქვეითებულა.

– ვინ ხარ და ჩემგან რა გინდა-მეთქი, – ვკითხე შეცბუნებულმა.

– დანაოსი ვარ, არგოსის ყოფილი მეფე. შენი გვარი ჩემგან იღებს სათავეს, – მცქმუტავ ცხენს ძლივს აჩერებდა. – მართალია, 50 ქალიშვილი მყავდა, მაგრამ შენ ჩემი უსაყვარლესი ცირუნიას პირდაპირი შთამომავალი ხარ და არგოსის მეფობა შენ გეკუთვნის!

– მე-ე?! – გაოცებისგან პირი დავაღე.

– ცირუნიას გეფიცები, ჰო, შენ... – იორღას მათრახი გადაუჭირა, დამაცადე ერთ წუთს ლაპარაკიო. – ოღონდ, არგოსზე შენი კანონიერი უფლებების მოსაპოვებლად დნმ-ის ანალიზი უნდა ჩაიტარო, თორემ ხომ იცი, როგორი ხალხია ბერძნები – არ დაგიჯერებენ, ჩემი შთამომავალი რომ ხარ.

– დნმ რაღაა?! – თვალები დავპრაწე.

ის იყო, „თეთრტაიჭოსანმა“ პირი დაღო, რომ კარზე ბრაგუნის ხმამ გამომაღვიძა – მეზობელი იყო, მეუღლეს კვერცხი უნდა შევუწვა და ზეთისთვის მაღაზიაში ნუ ჩამიყვანო.

ბედი არ გინდა?! ჩემი მემკვიდრეობის საკითხი წყდება და ეს დალოცვილი ზეთის სათხოვნელად არ მომადგა?!.

მეზობელი გავისტუმრე თუ არა, ისევ საწოლში ვდურთე თავი, თვალი დავხუჭე, მაგრამ გაგონილა, სად არის ჩემი დანაოს ბაბუა.

ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, ეს დნმ რაღა უბედურებაა-მეთქი. თავი და ბოლო რომ ვერ გავუგე, მეგობართან წასვლა გადავწვიტე და ნაშუადღევს სახლიდან გავედი. სადარბაზოსთან ერთი გარენათესავი კოჩია შემომეჩეხა.

– რას ჩაფიქრებულხარ ასე მწარედ? – მკითხა მოსალმებისთანავე.

ეს მეფის შთამომავალი კაცი საიდუმლოს როგორ გავანდობდი, თანაც ნათესავს – მაგის ამბავი რომ ვიცი, მაშინვე მთელ ქვეყანას მოსდებდა. ის კი ვკითხე, დნმ რა არის, ხომ არ იცი-მეთქი.

– როგორ არა, შე კაცო – **ღებილთა ნაბოდვარი მემკვიდრეობაზე,** – ჩაიქირქილა კოჩიამ და გზა განაგრძო.

ვაჟა დანელია

მასწავლებლის გლობალური ჯილდოს გამარჯვებული კენიელი პიტერ ტუბიში გახდა

„გლობალ თიჩერ 2019“-ის გამარჯვებული კენიელი მასწავლებელი პიტერ ტუბიში გახდა. გამარჯვებული მასწავლებელი გლობალური დაჯილდოების ცერემონიაზე დუბაიში გამოავლინეს. გამარჯვებული პრიზის სახით მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს. ათ ფინალისტს შორის იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი ლადო აფხაზავა. მასწავლებლის გლობალური დაჯილდოების ცერემონია მსახიობ ჰიუ ჯეკმანს მიჰყავდა.

პირველკლასელთა რეგისტრაციის I ეტაპი დაიწყო

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019-2020 სასწავლო წლისათვის პირველკლასელთა რეგისტრაციის წესში ცვლილებები შევიდა.

განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, სამინისტრო მშობლებს მოუწოდებს, ყურადღებით გაეცნონ რეგისტრაციის ვადებს და პირობებს, რათა ბავშვის სკოლაში შეყვანა დროულად და შეუფერხებლად შეძლონ. კერძოდ, როგორც სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძემ განმარტა, მინისტრის გადაწყვეტილებით, უპირველესად რეგისტრაციას გაივლიან სწორედ ამ კატეგორიის ბავშვები. შესაბამისად, რეგისტრაციის I ეტაპი 2019 წლის 25 მარტს დაიწყო და 5 აპრილს დასრულდება.

◎ წყალბურთი

მთავარი პრიზი – მასპინძლებს

წლეულს 15-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს 21-28 ივლისს ბულგარული ბურგასი უმასპინძლებს. იმ შეჯიბრებაში თამაშის უფლების მოსაპოვებლად 28-31 მარტს ევროპირველობის შესარჩევი ეტაპის D ჯგუფის შეხვედრები თბილისში გაიმართება.

აქ ფინალის საგზურისთვის იბრძოლებენ ბულგარელები, სლოვაკები, სერბები, აზერბაიჯანელები, ლიტველები და ქართველები (გიორგი ჩაგელიშვილი, გიორგი კოზაშვილი, გურამ გოცირიძე, არჩილ ბაგაშვილი, გუგა გელაშვილი, საბა ტყეშელაშვილი, ბესარიონ ახვლედიანი (კ), სანდრო ვასაძე, დავით გორგოძე, გიორგი კირიაკიდი, ლუკა ჩიქოვანი, ანდრია ცქიტიშვილი, ნიკოლოზ ტყეშელაშვილი, კახი რაზმაძე, ალექსანდრე მიქაუტაძე, **მწვრთნელები** — გელა ტუკვაძე, ოთარ ქოიავა, ნოდარ ჩხარტიშვილი), რომლებმაც გასულ უქმეებზე საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში 15-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — ზურაბ და როსტომ ჩაჩავების თასზე მოსინჯეს ძალები. აქ მასპინძლებთან ერთად მთავარი პრიზისთვის ბულგარელი, უკრაინელი და თურქი წყალბურთელებიც იბრძოდნენ.

ასპარეზობის პირველ ტურში ქართველებმა უკრაინელებს აჯობეს 20:11 (7:3, 2:2, 5:2, 6:4). ჩვენებურთაგან გოლები ბაგაშვილმა (1), გელაშვილმა (4), ს. ტყეშელაშვილმა (2), ახვლედიანმა (2), ვასაძემ (1), კირიაკიდმა (5), ჩიქოვანმა (5) გაიტანეს, თურქებმა კი ბულგარელები დაჯაბნეს - 14:9 (3:1, 3:2, 1:2, 7:4). მეორე ტურში მასპინძლებმა ბულგარელები დაამარცხეს 17:6 (5:0, 2:4, 4:0, 6:2, გოლები:კოზაშვილი (2), ს. ტყეშელაშვილი (1), ახვლედიანი (4), ვასაძე (1), მიქაუტაძე (1), კირიაკიდი (3), ჩიქოვანი (5), ხოლო თურქებმა უკრაინელებს სძლიეს - 10:6 (2:0, 2:2, 3:1, 3:3). გადამწყვეტ მესამე რაუნდში თურქებთან ტუკვაძის შეგირდებმა მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს — 9:8 (2:2, 3:3, 3:3, 1:0. გოლები: ს. ტყეშელაშვილი (2), ახვლედიანი (2), გორგოძე (1), კირიაკიდი (2), ჩიქოვანი (2); უკრაინამ კი ბულგარეთს 15:8 (3:2, 3:3, 5:2, 4:1) მოუგო.

საბოლოო მდგომარეობა: საქართველო — 9, თურქეთი — 6, უკრაინა — 3, ბულგარეთი — 0 ქულა.

ლეძსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

ზაზას საჩემპიონო ბეჭედი გადაეცა

გუშინ ზაზა ფაჩულიას „დეტროიტი“ გასვლაზე „გოლდენ სტეიტთან“ 121:114 დამარცხდა. მატჩის დაწყებამდე ფაჩულიას პატივსაცემად „ორექალ არენაზე“ სპეციალური ცერემონია გაიმართა, სადაც „მეომრების“ მსროლელმა და ზაზას ახლო მეგობარმა კლეი ტომპსონმა ქართველ ცენტრს 2017/18 წლების სეზონის საჩემპიონო ბეჭედი გადასცა.

13 წუთში ქართველმა ცენტრმა გუნდს 4 ქულა, 4 პასი და 2 მოხსნა შესძინა. ფაჩულიამ 2-დან ერთი ორქულიანი და 2-დან ორი საჯარიმო ჩააგდო.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, გადამწყვეტი მეორე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „მეომრებმა“ 34:21 მოიგეს. მატჩში ყველაზე მეტი — 26 ქულა სტეფ კარის ანგარიშზეა. „დეტროიტში“ 24 ქულით გრიფინი გამოირჩა.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „დეტროიტი“ ერთი საფეხურით დაქვეითდა და აღმოსავლეთ კონფერენციში მეშვიდე პოზიციაზეა.

მიჩიგანელები ხვალ გასვლაზე „დენვერ ნაგეთსს“ დაუპირისპირდებიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი მერვედფინალშია!

27 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა მაიამის მასტერზის (საპრიზო ფონდი 9 314 875 დოლარი) მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ მე-17 ნომრად განთესილი ბასილაშვილი ტურნირში მე-2 წრიდან ჩაება, სადაც გერმანელ მიშა ზვერევს 6:3, 6:2 სძლია, გუშინ კი ჰოლანდიელ რობინ ჰაასესაც ორ სეტში აჯობა — 7:6 (7:3), 6:3.

საათნახევარში ნიკამ 14 ეისი მოაწოდა და 7 ორმაგი შეცდომა დაუშვა (მეტოქეს, შესაბამისად, 7 და 3 მოუგროვდა). ქართველს პირველ მოწოდებაზე 66%-ანი მაჩვენებელი ჰქონდა, საიდანაც ბურთების 73% (37 51-დან) მოიგო, მე-2 მოწოდებაზე კი სათავისოდ გათამაშებების 62% (16 26-დან) დაასრულა.

ბასილაშვილმა 7-დან 2 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, თავად კი მოწოდება მხოლოდ ერთხელ დათმო. ჯამში ქართველმა ჩოგბურთელმა 80 გათამაშება მოიგო, ხოლო გერმანელმა — 67.

ამ წარმატების წყალობით ბასილაშვილს ლაივ-რეიტინგში 1930 ქულა მოუგროვდა და მისთვის სარეკორდო მე-17 ადგილზე გადაინაცვლა. ნიკოლოზი მერვედფინალში კანადელ ფელიქს ოჟიე-ალიასიმს დაუპირისპირდება.

გეჟან დოლიძე

◎ ჭადრაკი

12 ქალის მონაწილეობით

სხვადასხვა რეგიონის 12 წარმომადგენელი იბრძვის მედლებისთვის საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში (საპრიზო ფონდი 17.500 ლარი, საიდანაც გამარჯვებული 5.500 ლარით დაჯილდოვდება), რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია პირველ-მესამე ადგილებზე გასულთ ევროპის 2019 წლის ინდივიდუალურ ჩემპიონატში გასამგზავრებლად დააფინანსებს.

შეჯიბრებაში არ მონაწილეობენ უძლიერესი დიდოსტატები - ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე, ასევე, საქართველოს ნაკრების წევრები - ელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი და ნინო ბაციაშვილი, რომლებმაც ამას წინათ ყაზახურ ასტანაში მერი არაბიძესა და სალომე მელიასთან ერთად მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც წრიული სისტემით იმართება, უკვე გათამაშდა ექვსი ტური. 5 ქულით ერთპიროვნულად მერი არაბიძე დაწინაურდა.

VI ტური. სალომე მელია — ალექსანდრა ვახანია 1:0, მერი არაბიძე — თამარ ესაძე 1:0, მირანდა მიქაძე — ქეთი წაწალაშვილი 0.5:0.5, სოფიკო ხუხაშვილი — ინგა ხურცილავა 1:0, თამარ წერეთელი — ნინო ხომერიკი 0.5:0.5, სოფიო გვეტაძე — მაკა ფურცელაძე 0.5:0.5.

ექვსი ტურის შემდეგ: არაბიძე — 5, მიქაძე, ხომერიკი — 4.5-4.5, გვეტაძე, მელია — 3.5-3.5, ხუხაშვილი, წერეთელი — 3-3, წაწალაშვილი — 2.5, ფურცელაძე — 2, ხურცილავა, ვახანია — 1.5-1.5, ესაძე — 0.5 ქულა.

ასპარეზობის მონაწილეებმა გუშინ დაისვენეს. დღეს მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართება.

ლაშა დიდია

◎ სუმო

მაისიც მალე მოვა

ბარძაყის კუნთის ტრავმით გატანჯული ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი, ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა ოძეკის წოდების შესანარჩუნებლად, ზოგიერთ მეტოქესთან, რომ იტყვიან, თითქმის შეუძლებელიც კი შეძლო, მაგრამ პროგრამა-მინიმუმი მაინც ვერ შეასრულა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელი შერკინების შედეგს კომუსუბი ტაკაკეიშოსთან, რომელიც, თავის მხრივ, დოჰიოზე დამატებითი მოტივაციით გამოვიდა — გამარჯვების შემთხვევაში თვითონ აღზევდებოდა ოძეკის ტიტულამდე. სამწუხაროდ, მან საწადელს მიაღწია, თუმცა, ჩვენს თანამემამულეს რეაბილიტაციის შანსი მალევე მიეცემა — საამისოდ საკმარისია მან მაისის ბაშოზე სულ მცირე 10 წარმატება მოიპოვოს. დავძენთ, რომ რანგით დაბალ დივიზიონში დადებითი ბალანსით დაასრულა გამოსვლა გაგამარუმ (ლევან ჯუღელმა).

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ვითომ, ვცდებოდით?!

ქართული ფეხბურთი სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ სადარბაზო ბარათად, რაც ძველი გვარდიის დამსახურებაა, მაგრამ რაც შეეხება აწმყოს, ცალკეული გამონათებების გარდა, სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს. აღარაფერს ვამბობთ მერმისზე, რადგან, დიდი ალბათობით, მომავალ თაობებს თანამედროვეთაგან მემკვიდრეობის სახით კიდევ უფრო ბუნდოვანი პერსპექტივა ერგებათ წილად.

ვითომ ზედმეტად პესიმისტური სურათი დავხატეთ? ვფიქრობთ, რომ არა და თუ რატომ, ახლავე მოვახსენებთ.

როცა ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ერთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთმანეთის მიყოლებით გამოუყვანა წირვა შედარებით სუსტ მეტოქეებს, რაც უმთავრესად ჭაბუკი ტალანტის გიორგი ჩაკვეტაძის ძალისხმევით მოხერხდა, იმედი გაგვიჩნდა, რომ გაჭიანურებული კრიზისი წარსულს ჩაბარდებოდა, მაგრამ თურმე წინ მორიგი იმედგაცრუება გველოდა. ალბათ, მიხვდით — საუბარია „ევრო-2020“-ის შესარჩევი ტურნირის სასტარტო საშინაო მატჩზე შვეიცარიის გუნდთან, რომელიც უშანსოდ დავთმეთ — 0:2.

ბევრმა შეიძლება უსახური თამაში „გენტის“ ტრავმირებული ლეგიონერის არყოფნას დააბრალოს, მაგრამ ამ მხრივ სტუმრებს ხომ უფრო საგანგაშოდ ჰქონდათ საქმე, რომლებიც ამავე მიზეზით თბილისში დამრტყმელი ტრიოს (შაჩირი, სეფეროვიჩი, მეჰმედი) გარეშე ჩამოვიდნენ? ვლადიმირ ვაისის შეგირდებს თანამემამულეთათვის ხასიათის გამოკეთების შესაძლებლობა დღეს 23:45 საათზე ირლანდიაში მიეცემათ.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ესეც ჰილარია

ამერიკელი მოდელი და მსახიობი ჰილარი ბარტონი უკვე 37 წლისაა, მაგრამ მაინც ძველებურად მშვენივრად გამოიყურება. არავისთვისაა დაფარული ის ამბავი, რომ იგი სხეულის მარადიულ სიკისკასეს სპორტის საშუალებით ინარჩუნებს და ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობიდან მძლეოსნობითაა დაკავებული.

სპორტის ამ სახეობისადმი ჰილარი ბარტონის სიყვარული საბოლოო ჯამში იმით დაგვირგვინდა, რომ ჰოლივუდის იმ უბანში, სადაც მსახიობი ცხოვრობს, საკუთარი სპორტდარბაზი გახსნა, სადაც მის მიერ დაქირავებული პროფესიონალი მწვრთნელები ნებისმიერ მსურველს უფასოდ ავარჯიშებენ.

ჰილარი ბარტონის ამბავი რომ არ გაგიკვირდეთ, იმასაც გეტყვით, რომ ზოგადად ამერიკის შეერთებულ შტატებში „სპორტის დედოფალი“ მეტად პოპულარული და დაფასებული სპორტის სახეობაა. იქაურ სკოლებში მძლეოსნობა აუცილებელ საგნადაა შეტანილი და, რა გასაკვირია, რომ ამ ქვეყანას ოლიმპიადებსა თუ სხვადასხვა ჩემპიონატებში მუდმივად წარმატება სდევს თან.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ განსჯა



პირველი გაზეთი მესხეთში ასი წლის წინათ დაიბეჭდა

21 მარტს ქართულმა ჟურნალისტიკამ 200 წლის იუბილე იზეიმა. ამ თარიღს ზუსტად ერთი საუკუნით ჩამორჩება პირველი გაზეთის გამოშვება მესხეთში. პრესის პირველი ნომერი ახალციხის მაზრაში 1919 წელს 2 თებერვალს გამოვიდა.

პირველი რეგიონალური გაზეთი, „განახლებული მესხეთი“, ყოველკვირეული „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ გაზეთი იყო. პირველი ნომრის დიდი ნაწილი დამფუძნებელთა კრების არჩევნებს დაეთმო. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმში 100 წლის წინანდელი გაზეთის მხოლოდ სამი ნომერია შემორჩენილი. მესხეთის პირველი გაზეთი კვირაში ერთხელ ქართულ და თურქულ ენებზე გამოდიოდა და „სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანებას“ ემსახურებოდა. გაზეთი ძმებ მარტიროსიანების სტამბაში იბეჭდებოდა, რედაქცია კი ვორონცოვის ქუჩაზე მდებარეობდა. 27 მკათათვესა და 3 მარიობისთვის ნომრებში ახალი ამბების ძირითადი ნაწილი დამფუძნებელი კრების არჩევნებს, ახალციხის მაზრაში პურის ნაკლებობას, ქალაქში სომეხთა ეროვნული საბჭოს არჩევნების გადადებასა და ხორბლის მოსავალს ეძღვნება. ნომრის რედაქტორები არიან ოსმან შავყი ეფენდი მიქელაძე და ლ. რუხაძე, ხოლო გამომცემელია მიწის მუშათა საბჭო. მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ნატო ყრუაშვილი განმარტავს, რომ გაზეთის სარედაქციო კომიტეტის შესახებ სხვა ცნობები არ მოიძებნება:

„სამცხე-ჯავახეთშიც გაჩნდა გაზეთის გამოსვლის სურვილი. ეს ბუნებრივი და საჭირო იყო უკვე, სიტუაციაც ითხოვდა ამას. ერთადერთი, ეს გაზეთები და ზაქარია დიდიმამიშვილის დღიურები გვაძლევს სრულ სურათს იმ პერიოდის სამცხე-ჯავახეთის პოლიტიკურ ცხოვრებასთან, სოციალურ ვითარებასთან დაკავშირებით, როგორი მდგომარეობა იყო შექმნილი. ეს გაზეთები წყარო-მასალის დატვირთვას იძენს“.

გაზეთი მესხეთში 1 მანეთი და 50 კაპიკი, მესხეთს გარეთ კი 2 მანეთი ღირდა, ერთი თვით შეძენის შემთხვევაში კი – 5 მანეთი და 50 კაპიკი. გამოდიოდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში. გაზეთში ვკითხულობთ ასევე, რომ სამგლოვიარო განცხადება 20 მანეთი ღირდა, ხელმოუწერელი წერილები კი ნომერში არ იბეჭდებოდა. 1918-1921 წლებში „განახლებული მესხეთის“ გარდა რეგიონში კიდევ ორი გაზეთი გამოდიოდა - „მესხეთ-ჯავახეთი“ და „შარჟუმი“ (სომხური მოძრაობა). 1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ სამცხე-ჯავახეთში ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვა შეწყდა. რეგიონული პრესა 1926 წელს გაზეთ „მიწათმოქმედის“ გამოცემით აღდგა. დღეს სამცხე-ჯავახეთში გაზეთები აღარ გამოდის, თუმცა 5 ტელევიზია, 2 რადიო და 7 ონლაინგამოცემა ფუნქციონირებს. ონლაინგამოცემისა და რადიო „სამხრეთის კარიბჭის“ რედაქტორი თამუნა უჩიძე ფიქრობს, რომ პოლარიზებული მედიასაშუალებების პირობებში რეგიონალურ მედიას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

„ფინანსური სიმცირე და საჯარო ინფორმაციის დაგვიანებით ან, საერთოდ, ვერმიღება, ეს არის მთავარი პრობლემა, თუმცა რეგიონულ მედიას, განსაკუთრებით პოლარიზებულ ეპოქაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. გარდა ამისა, სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ ეთიკურ პრინციპებს რეგიონული მედია ყოველთვის იცავს“.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონული პერიოდიკა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. ახალციხეში იბეჭდებოდა „მესხეთი“, „სამცხე-ჯავახეთი“ „სამცხე“, „ლიტერატურული მესხეთი“, „ახალციხე“, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო ნომრები განსაზღვრული პერიოდულობით ვერ გამოდიოდა. ასევე 90-იანი წლების მიწურულს დაარსდა რეგიონული ტელეკომპანიები, რადიოები და სააგენტოები. ახალციხის ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ქართულმა მედიამ რეგიონში განვითარების რთული გზა განვლო, თუმცა რუსუდან გვარამაძე მიიჩნევს, რომ მესხეთში ძირითადად ის მედიაორგანიზაციები მუშაობენ, ვისთვისაც ჟურნალისტური ღირებულებები მნიშვნელოვანია:

„თუ გინდა იყო დამოუკიდებელი და ობიექტური, მზად უნდა იყო ფინანსური არამდგრადობისთვის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონში სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებს ინფორმაცია სრულყოფილად მიაწოდო. როგორც ჩანს, ამის შესახებ 100 წლის წინაც ფიქრობდნენ და გაზეთები გამოდიოდა როგორც ქართულ და სომხურ, ასევე თურქულ ენაზეც“...

მაია იველაშვილი

სალაპარაკო მეგრული ენის კურსები

შევასწავლით სალაპარაკო მეგრულს. მსმენელთან მუშაობა წარიმართება თავისუფალი მეტყველების უნარების ჩამოსაყალიბებლად, იგი შეძლებს თავისუფლად საუბარს, აითვისებს სალაპარაკო მეგრულის ძირითად საფუძვლებს, თავისებურებებს ქართულ ენასთან მიმართებაში, მოხდება მეტყველების დახვეწა და ლექსიკის კიდევ უფრო გამდიდრება.

კურსის ხანგრძლივობა ორი თვე.

სწავლება ჩატარდება კვირაში ორჯერ: სამშაბათს და ხუთშაბათს – 17-დან 19 საათამდე.

სწავლება დაიწყება 2019 წლის 8 აპრილს. სრული კურსის საფასური 60 ლარი. 16 წლამდე ახალგაზრდებისთვის კურსები უფასოა.

კურსს გაუძღვება პროფესიონალი პედაგოგი.

მსმენელთა რაოდენობა შეზღუდულია.

მისამართი: თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №42.

საკონტაქტო ნომერი: +(995)2 77 95 04; 2 77 95 38.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი-არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გურამ ლორთქიფანიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლუიზა, როინ მეტრეველები იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ახლო მეგობარი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

გურამ ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.



შვილი მერაბი, რძალი მარიამი, მძახლები მურმანი, მანანა, შვილიშვილები გიორგი, ელისაბედი, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მხედარ ჩაჩავა

პანაშვიდი: 26, 27 მარტს;
გამოსვენება: 28 მარტს, 14 საათზე, თბილისში.
მისამართი: ცაგარელის №38.

გახსენება

ირაკლი თევდორაშვილი

ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ არის უახლოესი, საძმოში გამორჩეული და ერთგული კაცი, ნაღდი ქალაქელი, დიდი ოჯახის მამა და ბაბუა **ირაკლი თევდორაშვილი.** იგი მართლაც სამეგობროს სული და გული გახლდათ, 5 მარტს მისი პირველი დაბადების დღე იყო, რომელიც მის გარეშე აღვნიშნეთ ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და ახლობლებმა. იგი 77 წლისა გახდებოდა.

გვენატრება მისი ალალი, ლაღი იუმორი, დიდი სიყვარულითა და პათეტიკით წარმოთქმული ლექსები, აზარტული გატაცება ნარდის თამაშის დროს, ყველაფერ ამას ვიგონებთ მის სამსახურში, სადაც ვაგლახ, რომ უიმისოდ ვიკრიბებით.

ძალიან აკლია ოჯახსა და სამეგობროს, მაგრამ მისი სიკეთე, მეგობრებში დატოვებული სითბო კიდევ დიდხანს გაგვითბობს გულებს. ორმოცი დღის შემდეგ დიდ სამსჯავროზე წარსდგება მისი სპეტაკი სული და ჩვენ ყველას გვჯერა, რომ მისი სული დაივანებს იქ, სადაც მართალთა სულები ზეობენ.

უახლოესი მეგობრები ზაურ გიორგაძე, თამაზ ტულუში, ლაური ჯანაშია, გუჯა ბუბუტეიშვილი, დევი და ანდრო ჩხიკვიშვილები, ზაურ შარაბიძე, თამაზ გელაშვილი, გურამ სვანიძე.

განცხადება

სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ იწვევს თავის აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც შედგება 2019 წლის 3 მაისს 12 საათზე, საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირი №57-ა.

დღის წესრიგი:

1.სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენის“ მიერ 2018 წელს განხორციელებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების განხილვა.

2. სხვადასხვა.

სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2019 წლის 25 აპრილი.

სამეთვალყურეო საბჭო

გარდაიცვალა რეჟისორი ერეკლე ბადურაშვილი

გარდაიცვალა ქართველი რეჟისორი და სცენარისტი ერეკლე ბადურაშვილი. ინფორმაციას ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს. ერეკლე ბადურაშვილი 57 წლის იყო.

ერეკლე ბადურაშვილი არაერთი ფილმის ავტორია.

ბოლო პერიოდში ის ახალ სრულმეტრაჟიან ფილმზე „ხიდი“ მუშაობდა, რომელიც საქართველო-თურქეთის კოპროდუქციაა. ერეკლე ბადურაშვილი დამდგმელი რეჟისორია ფილმებისა: „ავტოპორტრეტი“ (1987), „ცოდვის დღესასწაული“ (1990), „თბილისი ჩემი სახლია“ (1994), „კიდევ ერთი ქართული ისტორია“ (2003); სცენარის ავტორია ფილმების: „ავტოპორტრეტი“ (1987), „ცოდვის დღესასწაული“ (1990); გადაღებულია ფილმში: „მატარებელი“ (2001).

სანთელი

ლევან მიროტაძე, თემურ დათიაშვილი, სოსო კარდანახიშვილი, ოლიკო ტაბლიაშვილი, ზოია ქანთარია იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ბრწყინვალე ადამიანის

არჩილ (ბიჭიკო) ხიტირის

გარდაცვალებას და ღრმა სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ფაშინიანი და ალიევი 29 მარტს ვენაში შეხვდებიან

სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ერთმანეთს 29 მარტს ვენაში შეხვდებიან.

ინფორმაცია „ინტერფაქს აზერბაიჯანს“ ვენაში დიპლომატიურმა წყარომ აცნობა. წყაროს ინფორმაციით, შეხვედრა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საკითხს მიეძღვნება.

შეხვედრა ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების შუამავლობით გაიმართება. 14 მარტს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა განაცხადა, რომ ბაქო და ერევანი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრის თარიღს აზუსტებენ. მისი თქმით, გარდა ამისა, იგეგმება ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

300 ლარის ნაცვლად 500 ლარამდე ამანათების გაბმაჟების გარეშე შემოტანას კომიტეტმა მხარი დაუჭირა

საფოსტო გზავნილებზე განბაჟების არსებული ლიმიტის 300-დან 500 ლარამდე გაზრდას პარლამენტის დარგობრივმა კომიტეტმა „ევროპული საქართველოს“ ინიციატივას მხარი დაუჭირა.

პარტიაში აცხადებენ, რომ თავის დროზე ზღვარი 200 დოლარამდე ღირებულების პროდუქციის შემოტანაზე დაწესდა, დღეს კი 200 დოლარის ეკვივალენტი უკვე 500 ლარს აჭარბებს. ინიციატივას პარლამენტის უმრავლესობის წევრებმაც დაუჭირეს მხარი.

მაღალჩინოსნები სექსუალურ სკანდალებს ეწირებიან



ამერიკული კინოსტუდია Warner Bros.-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი კევინ ცუძიჰარა სექსუალური სკანდალის გამო თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ კომპანია WarnerMedia-ს განცხადებაშია ნათქვამი.

გამოცემა Hollywood Reporter-მა წერდა, რომ 2013 წელს ცუძი ჰარას ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდა ბრიტანელ მსახიობთან შარლოტა კირკთან. სავარაუდოდ, კინოსტუდიის დირექტორი მას სექსის სანაცვლოდ როლებს სთავაზობდა. მანამდე კომპანიამ ამ ვითარებასთან დაკავშირებით ორჯერ ჩაატარა შიდა გამოძიება და დარღვევები ვერ აღმოაჩინა. გენერალური დირექტორის ადვოკატების თქმით, ის როლებზე მსახიობების შერჩევაში არ მონაწილეობდა და ამ პროცესებზე გავლენის მოხდენა არ შეეძლო. კირკი ინფორმაციის გაჟონვასთან დაკავშირებით თავის მონაწილეობას უარყოფს. მისი თქმით, ცუძიჰ არასთან ურთიერთობა ორმხრივი შეთანხმების შედეგი იყო, არანაირ ვალდებულებს არ ითვალისწინებდა და დირექტორთან პრეტენზიები არ გააჩნდა. ის Warner Bros.-ის ორ ფილმში ეპიზოდური როლებში მონაწილეობს.

„ძალიან ვწუხვარ, რომ კევინ ცუძიჰარა Warner Bros.-ს ტოვებს. ჩვენი ურთიერთობა დიდი ხნის წინათ დასრულდა, არანაირი კავშირი არ მაქვს Hollywood Reporter-ს სტატიასთან და მის გამოქვეყნებას ვეწინააღმდგებოდი კიდეც“, – განაცხადა მსახიობმა.

ღია კოსმოსში პირველი სასტუმრო 2022 წელს გაიხსნება

მზად ხართ გაატაროთ დასვენების დღეები კოსმოსში? ჯერჯერობით, ამ თემაზე ყველაზე სწორი კითხვაა: ეს უკვე შესაძლებელია? – წერს BBC.

2018 წლის აპრილში კონფერენციაზე , რომელიც სან-ხოსეში (კალიფორნიაში) ჩატარდა, გაირკვა რომ Aurora Station-ი ორბიტაზე მსოფლიოში პირველი სასტუმრო გახდებოდა.

Aurora Station-ის სტუმრები იცხოვრებენ დიდი სივრცის მქონე ოთახში და 12 დღის განმავლობაში დედამიწის ხედებით დატკბებიან. ასევე ნახავენ ისეთ ატმოსფერულ მოვლენას, როგორიცაა ჩრდილოეთის ნათება. Aurora Station-ის ორბიტაზე გაშვება 2022 წელს იგეგმება. ყველაზე იაფი ბილეთის ფასი ერთ პერსონაზე 9,5 მილიონი დოლარია. როგორც კომპანია Orion Span-ის წარმომადგენლები აცხადებენ, უკვე მსურველების ვრცელი რიგი დგას. ამ დროისათვის ადგილები 7 თვის განმავლობაში წინასწარ არის დაჯავშნილი.

საფრანგეთში საქართველოს მოქალაქე მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს

საფრანგეთში, ქალაქ რენში, საქართველოს მოქალაქე მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს. 41 წლის მამაკაცი წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

ფრანგული მედიის ცნობით, მამაკაცმა დანით დაჭრა ასევე საქართველოს მოქალაქე. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. მსხვერპლს რამდენიმე ჭრილობა გულის არეში აქვს მიყენებული.

ინციდენტის შემდეგ დააკავეს ორი ადამიანი, რომლებიც მანქანით გაქცევას შეეცადნენ. ერთ-ერთს მკვლელობის მცდელობში წაუყენეს ბრალი, ხოლო მეორეს მოწმის სტატუსი მიანიჭეს.

პოლონეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს

ადგილობრივი მედიის ცნობით, მოკლული 24 წლისაა და შემთხვევა ლიპნიცის დასახლებაში მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ასევე დაშავებულია საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე 38 წლის მამაკაცი.

ჟურნალისტების ცნობით, ჩხუბი ლიპნიცაში მცხოვრებ საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეებს შორის მოხდა. ინციდენტისას გამოყენებული იყო ცივი იარაღი. სამართალდამცავებმა დააკავეს საქართველოს ორი და უკრაინის ერთი მოქალაქე.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6821; ევრო - 3.0327;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5254
100 რუბლი - 4.2031; თურქული ლირა - 0.4830;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5784;
1000 სომხური დრამი - 5.5244.

ამინდი 26 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+12
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+15
თბილისი:	ღამე	+4,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge